პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 78 (9854) | ხუთშაბათი, 1 აპრილი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

# საცალო ფასების ახალი შემცირება

დღეს ქვეყნდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ“. საბჭოთა ადამიანები უდიდესი სიხარულითა და კმაყოფილების გრძნობით შეხვდებიან მათთვის პარტიისა და მთავრობის განუხრელი ზრუნვის ამ ახალ დოკუმენტს.

საბჭოთა მთავრობას და მშობლიურ კომუნისტურ პარტიას ყველაზე დიდ, საპატიო მოვალეობად მიაჩნიათ ზრუნვა საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მის მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილებისათვის. ახორციელებენ რა სოციალიზმის ამ ძირითად ეკონომიურ კანონს, რასაც საფუძვლად უდევს საბჭოთა ქვეყნის მაღალი ტექნიკური ბაზა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობა, პარტიამ და მთავრობამ 1947-დან 1953 წლამდე ექვსჯერ მოახდინეს სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების შემცირება.

ფასების შემცირების შედეგად 1951 წელს მოსახლეობამ მიიღო 27,5 მილიარდი მანეთი მოგება, 1952 წელს — 23 მილიარდი მანეთი, ხოლო 1953 წელს ფასების შემცირებამ მოსახლეობას მარტო სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ხაზით მისცა 46 მილიარდი მანეთი მოგება. ფასების ახალი, სათვალავით მეშვიდე შემცირება, რომელიც 1954 წლის 1 აპრილიდან ხორციელდება, ახალ, მრავალ მილიარდ მანეთ მოგებას მისცემს საბჭოთა კავშირის მოსახლეობას.

პარტიას და მთავრობას ფასების ასეთი თანმიმდევრული შემცირების განხორციელების შესაძლებლობას აძლევს საბჭოთა ადამიანების ნაყოფიერი შრომა და ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების მაღალი დონე. კომუნიზმის მშენებელმა საბჭოთა ხალხმა გმირულად დაძლია ყველა დაბრკოლება და შექმნა მძლავრი სოციალისტური მრეწველობა. ცნობილია, რომ 1953 წელს სამრეწველო წარმოების მოცულობამ საბჭოთა კავშირში ორნახევარჯერ გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის დონეს. ამავე პერიოდში ჩვენი ინდუსტრიის გული — საბჭოთა მანქანათმშენებლობა იმდენად სწრაფად განვითარდა, რომ 3,8-ჯერ გადიდდა მანქანებისა და მოწყობილობის დამზადება.

მრეწველობის აღმავლობის ასეთმა ტემპმა და მისი განვითარების მაღალმა დონემ პარტიის წინაშე დააყენა სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობის საკითხი. მრეწველობას არ შეუძლია შეინარჩუნოს განვითარების მაღალი ტემპი, თუ მას ნედლეულით არ უზრუნველყოფს სოციალისტური სოფლის მეურნეობა. ამავე დროს შეუძლებელია კომუნიზმის აშენება, თუ არ გვექნა სამრეწველო და სასურსათო საქონლის სიუხვე. სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის და თებერვალ-მარტის პლენუმები, რომლებმაც დასახეს სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობის — მეცხოველეობის განვითარების, კარტოფილის, ბოსტნეულის წარმოების სწრაფი ზრდის, ახალი ფართობების ათვისებისა და მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების საბრძოლო პროგრამა.

კომუნისტური პარტიის მიერ დასახული პროგრამის განსახორციელებლად დაირაზმა მთელი საბჭოთა ხალხი. საბჭოთა ქვეყნის ჭაბუკები და ქალიშვილები უდიდესი სიხარულით, გმირული შრომის სულისკვეთებით მიისწრაფიან ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად. ყაზახეთის, ციმბირის, ურალის, ვოლგისპირეთისა და ნაწილობრივ ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებში 1954-1955 წლებში ათვისებულ უნდა იქნას სულ ცოტა 13 მილიონი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწები. ამ გზით დამატებით მივიღებთ 1.100 — 1.200 მილიონ ფუთ მარცვლეულს. ასეთია პარტიის მიერ დასახული საბრძოლო ამოცანა.

— პარტიის ნება კანონია, იგი წარმატებით განხორციელდება! — აი რა რწმენით მიდიან ახალგაზრდები საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად. ეს რწმენა იყო აღბეჭდილი იმ ჭაბუკებისა და ქალიშვილების სახეზე, რომლებიც გუშინ თბილისიდან გაემგზავრნენ შორეულ რაიონებში ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად. ახალგაზრდებს შეგნებული აქვთ, რომ ახალი ფართობების ათვისება და მოსავლიანობის გადიდება მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ძირითადი პირობაა.

ფასების ახალი შემცირება ახალი შრომითი მამაცობისათვის აღაფრთოვანებს საბჭოთა ხალხს. პარტიისა და მთავრობის ზრუნვით გამთბარი საბჭოთა ადამიანები ყველაფერს გააკეთებენ შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

ფასების თანმიმდევრული შემცირების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ისეთ ქვეყნებში, რომლებმაც თავი დააღწიეს კაპიტალის მონობას და წარმატებით ავითარებენ მშვიდობიან სახალხო მეურნეობას.

ახლა საბჭოთა კავშირი ერთადერთი ასეთი ქვეყანა როდია. საბჭოთა კავშირის გვერდით დგანან ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, დიდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და კაპიტალის მონობის უღლისაგან განთავისუფლებული სხვა ქვეყნები, რომლებიც მტკიცედ დაადგნენ სოციალიზმის მშენებლობის გზას. ამ ქვეყნების სახალხო მთავრობები, კომუნისტური და შრომის პარტიები ახორციელებენ ფასების თანმიმდევრულ შემცირებას და აუმჯობესებენ მშრომელთა საარსებო პირობებს. ამას მოწმობს ჩვენს გაზეთში ამ დღეებში გამოქვეყნებული ცნობა ბულგარეთში ფასების შემცირების შესახებ და ის ცნობაც, რომელიც დღეს ქვეყნდება ჩეხოსლოვაკიაში ფასების შემცირების შესახებ.

ასე როდია კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც კაპიტალის ბატონობის მგლური კანონი მოქმედებს. მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფა მოსახლეობის უმრავლესობის ექსპლოატაციის გზით — აი ამ კანონის ძირითადი ნიშანი. ზემოგებით გატაცებული კაპიტალისტები ფეხქვეშ თელავენ მშრომელთა უფლებებს, არ აძლევენ მათ ადამიანური ცხოვრების შესაძლებლობას.

მეტად მძიმე პირობებში უხდებათ ცხოვრება ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, დასავლეთ გერმანიის, ჰოლანდიისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებს.

ადვილი წარმოსადგენია მდგომარეობა დედისა, რომელიც იძულებულია გაყიდოს შვილი და უარი განაცხადოს დედობაზე. ასეთი დედების რიცხვი მცირე როდია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

უმუშევრობა, სიღატაკე, შიმშილი ტანჯავს მშრომელებს კაპიტალისტური მონობის სამყაროში. ამერიკის შეერთებულ შტატებში 13 მილიონი მთლიანად და ნაწილობრივ უმუშევარია. მშრომელთა დიდ უმრავლესობას კი იმის შესაძლებლობა არა აქვს, რომ ოჯახის საარსებო მინიმუმი დააკმაყოფილოს. ფასების ზრდა, რეალური ხელფასის შემცირება, ეკონომიური კრიზისის მწვავე ნიშნები — აი როგორ გამოიყურება კაპიტალისტური სამყარო.

კაპიტალისტური ქვეყნების რეაქციული ძალები ახალ დაპყრობითს ომზე ოცნებობენ. მათ ომები ესაჭიროებათ მოგების გასადიდებლად. ამიტომ ართულებენ საერთაშორისო ვითარებას, ცდილობენ შეინარჩუნონ საერთაშორისო დაძაბულობა.

საბჭოთა მთავრობა მშრომელთა ინტერესების შესაბამისად მტკიცედ იცავს ლენინურ-სტალინურ საგარეო პოლიტიკას და დარწმუნებულია, რომ არ არსებობს თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ისეთი სადავო საკითხი, რომლის გადაჭრაც შეუძლებელი იყოს მშვიდობიანი გზით. ხალხებს მშვიდობა სურთ. მშვიდობა მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების მთავარი პირობაა.

სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასების ახალი შემცირება ერთხელ კიდევ ცხადყოფს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნულ სამშვიდობო პოლიტიკას. ამ დიდ ღონისძიებას საბჭოთა ადამიანები ახალი შრომითი აღმავლობით, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით და მშვიდობიანი სახალხო მეურნეობის შემდგომი აყვავებისათვის ნაყოფიერი შრომით უპასუხებენ.

2 აპრილს საღამოს 8 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპ. № 8) მოწვეულია

**საქართველოს პროფკავშირთა მესამე რესპუბლიკური საკავშირთაშორისო კონფერენცია.**

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს 1 და 2 აპრილს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს შენობაში (გრიბოედოვის ქუჩა № 19. ტელეფონები № 3-47-42 და 3-92-87).

**საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო.**

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა **დაადგინეს:**

1. 1954 წლის 1 აპრილიდან შემცირდეს სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასები შემდეგი ოდენობით:

### გამომცხვარი პური, ფქვილი და მაკარონი

| | |
|---|---|
| პური ჭვავის | 8% |
| პური ხორბლის, ბულკი, ბლითი და პურ-ბულკის სხვა ნაწარმი | 5% |
| ფქვილი ჭვავის, ხორბლის, სიმინდისა და სხვა ფქვილი | 5% |
| სოიის საბლინე ფქვილი | 15% |
| მაკარონი, ვერმიშელი, ლაპშა და მაკარონის სხვა ნაწარმი | 5% |

### მარცვლეული და ფურაჟი

| | |
|---|---|
| ჭვავი | 8% |
| ხორბალი, შვრია, ქერი და სხვა სახის მარცვლეული, ქატო, კოპტონი, შროტი, კომბინირებული საკვები, თივა და ნამჯა საშუალოდ | 5% |

### საბაკალეო საქონელი

| | |
|---|---|
| შავი ბაიხათ ჩაი | 10% |
| ყავა ნატურალური, კაკაო, ყავის, ჩაისა და კაკაოს სასმელები საშუალოდ | 15% |
| მარილი დაუფქავი | 10% |
| მარილი დაფქული დაუფასოებელი | 20% |

### ქსოვილები

| | |
|---|---|
| ბატისტი, მარკიზეტი, ვოლტა და სხვა საზაფხულო საკაბე ბამბის ქსოვილები და ავეჯის დეკორაციული ბამბის ქსოვილები საშუალოდ | 20% |
| ბამბის ქსოვილები ხელოვნურაბრეშუმნარევი | 10% |
| ჩითი, სატინი და სხვა ბამბის ქსოვილები საშუალოდ | 15% |
| აბრეშუმის ქსოვილები ნატურალური აბრეშუმისაგან საშუალოდ | 10% |

### მზა ტანსაცმელი, ტრიკოტაჟი და ქუდები

| | |
|---|---|
| კაბა, ზედატანი და სხვა შეკერილი ნაწარმი ბამბის საზაფხულო საკაბე ქსოვილებისა საშუალოდ | 15% |
| კაბა, ზედატანი, თეთრეული და სხვა შეკერილი ნაწარმი ბამბის სხვა ქსოვილებისაგან საშუალოდ | 10% |
| კაბა, ზედატანი, თეთრეული და სხვა შეკერილი ნაწარმი ნატურალური აბრეშუმის ქსოვილებისა საშუალოდ | 7% |
| ტრიკოტაჟის ნაწარმი საშუალოდ | 8% |
| ბამბის წინდა ქალისა და მამაკაცისა საშუალოდ | 20% |
| აბრეშუმის წინდა ქალისა და მამაკაცისა და სხვა საშუალოდ | 10% |
| კაპრონის ბოჭკოს წინდა ქალისა საშუალოდ | 25% |
| ქუდები ბამბის, აბრეშუმის, შალნარევი და უხეში მაუდის ქსოვილებისა | 10% |
| ქუდი ჩალისა | 10% |

### ფეხსაცმელი

| | |
|---|---|
| ფეხსაცმელი ტყავისა საშუალოდ | 7% |
| ფეხსაცმელი ქსოვილისა და კომბინირებული საშუალოდ | 20% |
| კალოში, ბოტი, ჩექმა და რეზინის სხვა ფეხსაცმელი საშუალოდ | 12% |

### საგალანტერიო საქონელი

| | |
|---|---|
| გალანტერია ქსოვილისა საშუალოდ | 10% |
| ძაფი და ძაფის ნაწარმი საშუალოდ | 15% |
| აბაჟური საშუალოდ | 10% |
| ბამბა და ვატინი | 15% |
| ნემსი საკერავი, მანქანისა, ხელისა და სხვა | 20% |
| საიუველირო ნაწარმი საშუალოდ | 10% |

### საპონი და პარფიუმერია-კოსმეტიკის საქონელი

| | |
|---|---|
| საპონი სარეცხი საშუალოდ | 15% |
| საპონი ხელისა საშუალოდ | 20% |
| სუნამო, ოდეკოლონი და პარფიუმერია-კოსმეტიკის სხვა საქონელი საშუალოდ | 10% |

### კულტსაქონელი და სათამაშოები

| | |
|---|---|
| საწერი ქაღალდი, რვეულები და ქაღალდისა და მუყაოს სხვა ნაწარმი საშუალოდ | 10% |
| ფანქარი, კალამი, კალმისტარი და სხვა საწერი და სახაზავი ხელსაწყოები და საკანცელარიო საქონელი | 15% |
| რეზინის, ცელულოიდის, ლითონისა და სხვა სათამაშო და ნაძვის ხის სამკაული საშუალოდ | 15% |
| ფოტოაპარატები საშუალოდ | 10% |
| ფოტოქაღალდი, ფირფიტები და სხვა ფოტოსაქონელი | 15% |
| რადიოლამპები საშუალოდ | 15% |

### ფაიფურის, ქაშანურისა და მინის ნაწარმი

| | |
|---|---|
| ფაიფურისა და ქაშანურის ნაწარმი საშუალოდ | 15% |
| მინის ჭურჭელი, ბროლის ნაწარმი, ლამპის ნაწარმი და სარკეები საშუალოდ | 10% |

### საოჯახო საქონელი

| | |
|---|---|
| ელექტრონათურები, ელექტროსათბობი ხელსაწყოები, სარეცხი მანქანები და მტვერსასრუტები | 10% |
| ხერხები, ბურღები, სამჭედლო, საზეინკლო, სადურგლო და სხვა ინსტრუმენტი საშუალოდ | 20% |
| ლითონის საწოლები | 15% |
| კავეული ნაწარმი და ბოქლომები საშუალოდ | 10% |
| ორკაპი, ცელი, ნამგალი | 20% |
| დანები საშუალოდ | 15% |
| ლამპა და ფარანი ლითონისა | 20% |
| გერმა-ბუმბულის ნაწარმი | 10% |

### საშენი მასალები

| | |
|---|---|
| შიფერი | 10% |
| რბილი სახურავი | 20% |
| ფანერი | 15% |
| ცემენტი | 20% |
| სანდალოზი, სალებავი და საყოფაცხოვრებო ქიმიის საქონელი საშუალოდ | 10% |
| სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობა | 10% |
| შპალერი | 20% |
| საკვალსათბურო ჩარჩოები | 30% |

### ასანთი და ნავთობპროდუქტები

| | |
|---|---|
| ასანთი | 20% |
| ბენზინი ავტომობილისა და საპოხი ზეთი | 44,5% |
| ნავთი სანათი | 38% |

### სპორტსაქონელი და სხვა სამრეწველო საქონელი

| | |
|---|---|
| სასპორტო ბურთების კამერები | 10% |
| ციგურა სარბენი და საფიგურო | 15% |
| ციგურა „სნეგუროჩკა“, „სპორტი“ და სხვა | 5% |
| თხილამური და მისი მოწყობილობა | 10% |
| სანადირო და სათევზაო ხელსაწყო საშუალოდ | 10% |
| პლასტმასის ნაწარმი | 10% |

### მედიკამენტები და სანიტარიისა და ჰიგიენის ნაწარმი

| | |
|---|---|
| მედიკამენტები და სანიტარიისა და ჰიგიენის სხვა ნაწარმი საშუალოდ | 15% |
| სანიტარიისა და ჰიგიენის რეზინის ნაწარმი საშუალოდ | 10% |

2. შესაბამისად შემცირდეს ფასები რესტორანებში, სასადილოებში და საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოებში.

3. მოხდეს მარცვლეულისა და კოპტონის შემხვედრი გაყიდვა ნედლი ბამბის, აბრეშუმის პარკის, კენაფის, საბოჭკოე სელის, კანაფის პროდუქციის დამზადების დროს, რომლებზედაც ვრცელდება შეღავათიანი ფასები, საცალო ფასებზე 10 პროცენტის დაკლებით.

# პარტიისა და მთავრობის დადგენილება ფასების შემცირების შესახებ საბჭოთა ადამიანებს ახალი საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანებს

★

## ამ სიკეთეს იგრძნობს ყველა საბჭოთა ოჯახი

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მეორე ცვლის მუშებმა რადიოთი მოისმინეს პარტიისა და მთავრობის დადგენილება ფასების ახალი შემცირების შესახებ.

მუშების აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ისმენდნენ სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასების მორიგი შემცირების ციფრებს.

— ფასების ახალი შემცირება, — განაცხადა სტახანოველმა ხარატმა გ. ბებუთაშვილმა, — ერთხელ კიდევ ნათლად მეტყველებს იმ დიდ მზრუნველობაზე, რასაც მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მშრომელებისათვის იჩენენ.

— ყველა საბჭოთა ოჯახი გახარებულია ფასების ახალი შემცირებით. ჩემი ოჯახი პარტიისა და მთავრობის ამ დადგენილებით საგრძნობლად აიმაღლებს მატერიალურ კეთილდღეობას. მადლობა პარტიას და მთავრობას! — განაცხადა მღარავმა ი. ბრატუსოვმა.

ქარხნის მექანიკურმა საამქრომ ვადამდე შეასრულა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის საწარმოო გეგმა, მას ხელთ უპყრია ქარხნის გარდამავალი წითელი დროშა. ქარხნის კოლექტივი მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდა სასიხარულო დადგენილებას ფასების ახალი შემცირების შესახებ.

— მაგრამ მიღწეულით არ დავკმაყოფილდებით, — განაცხადეს საამქროს უფროსმა ბ. გრიგორიევმა და პარტბიუროს მდივანმა ვ. სივიაკმა. — ჩვენი კოლექტივი უფრო მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით უპასუხებს პარტიისა და მთავრობის ზრუნვას მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისათვის.

რადიოგადაცემის მოსმენის შემდეგ ცვლის მუშები დაუბრუნდნენ საამქროებს და განაგრძეს ხალისიანი, ნაყოფიერი შრომა სამშობლოს სადიდებლად.



თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშები რადიოთი ისმენენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

## ცხოვრება სულ უფრო საამური ხდება

სიხარულისა და სიამაყის გრძნობით მოისმინეს თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასების ახალი შემცირების შესახებ.

— ფართო მოხმარების საქონლის ფასების ეს ახალი შემცირება, — განაცხადა საქსოვი საამქროს ქსოვის ინსტრუქტორმა ვერა ბერაძემ, — ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მშრომელთა კეთილდღეობისათვის ზრუნვა საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის უმაღლესი კანონია. ამ ზრუნვის პასუხად კიდევ უფრო ენერგიულად ვიმუშავებ, შევიტან ჩემს წვლილს ჩვენი სამშობლოს მშრომელთათვის მაღალხარისხოვანი ქსოვილების მეტი რაოდენობით მიწოდების საქმეში.

— ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი ადამიანისათვის, მისი ბედნიერებისათვის კეთდება, — ამბობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მოწინავე ფეიქარი მაგდან ბურჯანაძე, — ამას ცხადყოფს ფასების ახალი შემცირებაც. ჩემს მადლობას პარტიისა და მთავრობის ამ ზრუნვისათვის უკეთესი შრომით გამოვხატავ, ვიბრძოლებ იმისათვის, რომ კვლავაც ვიდგე შრომის ფრონტის მოწინავეთა რიგებში.

— ჩემი ოჯახის ბიუჯეტი, — თქვა ქვეოსტატმა ზურაბ საველიძემ, — საგრძნობლად გაიზრდება. მეტი შესაძლებლობა მექნება შევიძინო საუკეთესო ნივთები.

საქსოვი საამქროს მუშებმა იკისრეს გაადიდონ პროდუქციის გამოშვება, გამოუშვან მხოლოდ საუკეთესო ხარისხის ქსოვილები.

★

## ხალხის ბედნიერებისათვის

ჯერ კიდევ არ შესდგომოდნენ მუშაობას თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის ღამის ცვლის ფეიქრები, როცა რადიომ გადმოსცა თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის სასიხარულო დადგენილება სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შესახებ. საბჭოთა მთავრობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილების შესახებ საქსოვი საამქროს მუშებს ესაუბრა ცვლის ოსტატი აგიტატორი ი. ფერაძე.

სტახანოველმა მქსოველმა ქალიშვილმა ე. დიდებაშვილმა, რომელიც საწარმოო დავალებებს ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს, განაცხადა:

— მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყველა ღონისძიება მიმართულია მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობისაკენ, მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისაკენ. ამას ერთხელ კიდევ ადასტურებს ახალი დადგენილება ფასების შემცირების შესახებ. მე დღეს ერთ დაზგაზე მამაკაცის საპალტოე დრაფი „დედაქალაქური“ უნდა მოვქსოვო, მეორეზე — ქალის საპალტოე. გადავწყვიტე ცვლის დავალება გადამეტებით შევასრულო, თვითეულ მანქანაზე სამ-სამი მეტრით მეტი ქსოვილი მოვქსოვო.

სასიხარულო ცნობით აღფრთოვანებულმა სხვა მქსოველებმაც იკისრეს უფრო მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მიღწევა. მაგალითად, კომკავშირელმა მქსოველმა მარიამ ლაპტევამ, რომელიც შალის საკოსტიუმე ქსოვილებსა ქსოვს, პირობა დადო, რომ დღიურ დავალებას გადაჭარბებით შეასრულებს.

პარტიული ცხოვრება

# არჩევნების შემდეგ

მრავალი საქმიანი, საყურადღებო წინადადება წამოაყენეს ქუთაისის აბრეშუმკომბინატის კომუნისტებმა პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე. მათ ამხილეს ნაკლოვანებანი, გამოავლინეს ახალი საწარმოო რეზერვები, დასახეს მუშაობის გაუმჯობესების გზები.

მას შემდეგ სამ თვეზე მეტი გავიდა. რესპუბლიკის ამ ერთ-ერთი უდიდესი სამრეწველო საწარმოს პარტიულ ორგანიზაციაში ბევრი რამ გაკეთდა საანგარიშო-საარჩევნო კრების დადგენილების განსახორციელებლად. ამან საგრძნობლად შეუწყო ხელი საწარმოში პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გაძლიერებას, რამაც მთელი საწარმოო საქმიანობის გაუმჯობესება გამოიწვია.

იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების მიზნით პარტიულმა კომიტეტმა საფუძვლიანად შეისწავლა საწარმოში არსებული ყოველი პოლიტსკოლა, წრე და სემინარი. პარტიული კომიტეტის სხდომაზე მოსმენილ იქნა წარმოების ეკონომიკის შემსწავლელი სემინარის ხელმძღვანელის ლ. ჯანგავაძის მოხსენება. სემინარის მუშაობის უკეთ წარმართვისათვის დასახეს სათანადო ღონისძიებანი. გაძლიერდა ლექციური პროპაგანდა. ამას წინათ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთათვის მოეწყო ლექცია ლენინის გენიალურ ნაშრომზე „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან". ლექციების თემატიკაში თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი ხალხთა დიდ მეგობრობას.

ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის გამოცოცხლებას დიდად შეუწყო ხელი პარტიულ დავალებათა მიზანშეწონილად განაწილებამ. ახალგაზრდა კომუნისტებს პარტიულ დავალებას ახლა ისე შეარჩევენ, რომ იგი ეხმარება მათ ზრდაში, პოლიტიკური შეგნებულობისა და აქტივობის ამაღლებაში.

გაძლიერდა საგიტაციო-მასობრივი მუშაობა. პარტიული კომიტეტი ხშირად განიხილავს საკითხს ცალკეული აგიტატორის, აგიტკოლექტივის ხელმძღვანელის მუშაობის შესახებ. საწარმოში მომუშავე 135 აგიტატორიდან უმრავლესობა დაკისრებულ მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებს. საგიტაციო საუბრებისათვის გულმოდგინედ ემზადება, საუბრის თემას უნარიანად უკავშირებს საწარმოს ცხოვრებას. მაგრამ არის ნაკლიც. მაგალითად, ჯერ კიდევ ჩამორჩება საგიტაციო მუშაობა მექანიკურ საამქროში, კვლავ მიუწვდომელია პოლიტიკური აგიტაცია ტაძის ცეხში.

კომბინატის საამქროებში, განყოფილებებსა და ბრიგადებში 18 პარტიული ჯგუფია შექმნილი. პარტიული კომიტეტი მათ მუშაობას კარგად წარმართავს. ამას წინათ პარტიული კომიტეტის სხდომაზე განიხილეს პირველი საამქროს პარტჯგუფორგანიზატორის ნ. ორონტინის მუშაობის საკითხი. მისი დღიურებიდან გამოირკვა, რომ პარტიული ჯგუფის კრებებზე ტემატიურად მსჯელობდნენ საწარმოო საკითხებზე, პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაზე კი გვერდს უვლიდნენ. ამხ. ორონტინს ამაზე მიეთითა.

პარტიული კომიტეტი თავის გარშემო არაზმავს პარტიულ აქტივს, ყოველმხრივ განამტკიცებს კავშირს მასებთან. უპარტიო ამხანაგებს ეძლევათ დავალებები, ისინი მონაწილეობენ საკითხების მომზადებაში ღია პარტიულ კრებაზე განსახილველად, კრებებზე სიტყვებით გამოდიან, შემოაქვთ თავიანთი წინადადებები. უპარტიოებს ბ. ხურცილავას, ლ. ჯინჭარაძეს, ვ. მაჩაიძეს დავალებული აქვთ აგიტატორობა.

კომბინატის პარტიული კომიტეტი აქტიურად ეხმიანება ყოველ ახალ წამოწყებას ჩვენი პარტიის, საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებას პასუხად იგი მთელ რიგ ღონისძიებებს ახორციელებს. იანვარში განხილულ იქნა საგაზაფხულო თესვისათვის დამხმარე მეურნეობის მზადების საკითხი და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

კომბინატის კოლექტივმა შეფობა იკისრა სოფელ ჭოგნარის კოლმეურნეობაზე. კოლმეურნეობას დაეხმარა ერთი ავტომანქანა, კანტორის გასათბობად მისცა 20 ტონა ქვანახშირი, რაც მომწიფნეების რეჟიმის დაცვით იქნა დაზოგილი. კოლმეურნეობას დაუმზადა მაგიდები და სკამები, ამჟამად მეცხოველეობის ფერმაში გაჰყავს წყალი.

კომბინატის პარტორგანიზაცია, მისი საქმოსნიანი კოლექტივი დიდი ამოცანების წინაშეა. რეკონსტრუქციის შემდეგ კომბინატის წარმადობა ერთორად გაიზრდება, ყოველწლიურად დამზადდება 25 მილიონი მეტრი ქსოვილი. კომბინატის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც თავის რიგებში 510-მეტ კომუნისტს ითვლის, აძლიერებს მუშაობას საწარმოს წინაშე დასახული საპატიო ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად.

ვ. მეფისაშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

# ინტელიგენციის პოლიტიკური აღზრდა

ჭიათურაში ასობით ინჟინერი და ტექნიკოსი, მასწავლებელი, ექიმი და სხვა დარგის ინტელიგენტი მუშაობს. პარტიის საქალაქო კომიტეტი სათანადო ღონისძიებებს ახორციელებს მათი პოლიტიკური აღზრდისათვის. ამ მიზნით ეწყობა მრავალი ლექცია და პოლიტიკური მოხსენება სხვადასხვა საინტერესო თემაზე, თეორიული კონფერენციები. ინტელიგენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაბმულია მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში. ლენინის, სტალინის, დიმიტროვის სახელობის მაღაროთა სამმართველოებში მომუშავე ინჟინერ-ტექნიკოსებისათვის შექმნილია სოციალისტური წარმოების ეკონომიკის შემსწავლელი სემინარები, რომლებსაც უნარიანად ხელმძღვანელობენ ამხ. შ. პაპასქირი, ლ. გოშთელიანი და შ. ახვლედიანი. მსმენელნი — ინჟინრები ზ. ციცქიძე, ნ. გოგისვანიძე, ლ. ჩხაიძე, გ. ასათიანი, ს. ჯაჯანიძე და სხვები ბეჯითად ეუფლებიან სოციალისტური წარმოების ეკონომიკას, სწავლობენ ჩვენი პარტიის გმირულ ისტორიას, ადგენენ რეფერატებს, კითხულობენ პოლიტიკურ მოხსენებებს. აღნიშნულ მაღაროთა სამმართველოების აქტივისათვის მოეწყო თეორიული კონფერენციები პარტიის XIX ყრილობის, სკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების მასალების ირგვლივ. კარგად მოფიქრებული, შინაარსიანი მოხსენებები წაიკითხეს ინჟინრებმა გ. გაფრინდაშვილმა, ი. თოდუამ, გ. ეჯიბიშვილმა, ლ. გოგიჩაიშვილმა, გ. მიროტაძემ და სხვებმა.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მარგანეცის ტრესტის სამმართველოს პარტორგანიზაციასთან არსებული პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი წრე, რომელსაც ვ. ციცქიძე ხელმძღვანელობს. ბევრი ინჟინერ-ტექნიკოსი თავისი პოლიტიკური ცოდნის დონეს ამაღლებს მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შესწავლის გზით.

ქალაქში 100-ზე მეტი უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე პედაგოგია, რომლებიც ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეს ემსახურებიან. პედაგოგთა ნაწილი გაერთიანებულია პარტიის ისტორიის შემსწავლელ თეორიულ სემინარებში, ხოლო ნაწილი — პარტიის ისტორიის შემსწავლელ მაღალი ტიპის წრეებში. კარგად მუშაობენ მე-2 და მე-3 საშუალო სკოლების პარტორგანიზაციებთან შექმნილი სემინარები, სადაც მეცადინეობა მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე მიმდინარეობს. უკვე მეორე წელია ქალაქის საავადმყოფოს პარტორგანიზაციასთან მუშაობს პარტიის ისტორიის პირველ წყაროებით შემსწავლელი თეორიული სემინარი, რომელშიც გაერთიანებულია 30 ექიმი.

ქალაქის ინტელიგენტები ნაყოფიერად მუშაობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებათა პროპაგანდისა და პრაქტიკულად განხორციელებისათვის. ქალაქში მომუშავე ინტელიგენტებმა სურვილი განაცხადეს და წავიდნენ სოფლად სამუშაოდ. ამ საქმეში ინიციატივა გამოიჩინა ინჟინერმა გ. წერეთელმა, რომელიც მარგანეცის ტრესტის კაპიტალური მშენებლობის განყოფილებიდან სამუშაოდ წავიდა ჭიათურის რაიონის პირველ მანქანა-ტრაქტორთა სადგურში.

მაგრამ ინტელიგენციის პოლიტიკური აღზრდის საქმეში გაწეული მუშაობა ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებელი არ არის. იშვიათად ვაწყობთ ქალაქის ინტელიგენციის შეხვედრებს მისთვის საინტერესო საკითხებზე. ამიერკავკასიის მეტალურგიული ტრესტის ჭიათურის სამმართველოში, აგრეთვე ქალაქის ზოგიერთ სხვა მშენებლობაზე მომუშავე ინტელიგენტებისათვის უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში თითქმის არც ერთი კვალიფიციური ლექცია არ წაკითხულა. ვოროშილოვის სახელობის მაღაროთა სამმართველოსა და ქალაქის საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების პარტიულ ორგანიზაციებში დიდი დაგვიანებით შეარჩიეს კონსულტანტები მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელი ამხანაგების დასახმარებლად. მარგანეცის ტრესტის მეშახტეთა მომარაგების განყოფილების, ქალაქის პირველი საშუალო სკოლისა და ქალაქის საბჭოს აღმასკომის პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტად ხელმძღვანელობენ ინტელიგენციის პოლიტიკური აღზრდის საქმეს. არადამაკმაყოფილებელია პოლიტიკური აღზრდის მუშაობა ა. წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრის მსახიობთა შორის, რაც გარკვეულ გავლენას ახდენს თეატრის მთელ მუშაობაზე.

პარტიის საქალაქო კომიტეტი ამოცანად ისახავს სწრაფად აღმოფხვრას ნაკლოვანებანი ინტელიგენციის პოლიტიკური აღზრდის საქმეში, პარტიული პროპაგანდა აიყვანოს ახალი ამოცანების დონეზე. საჭიროა საქმე ისე დავაყენოთ, რომ ყოველი კომუნისტი, ყოველი ინტელიგენტი ეუფლებოდეს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას და უნარიანად იყენებდეს მას ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში.

ვ. შუკაკიძე,
საქართველოს კ. პ. ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

# საბჭოთა მთავრობის ნოტა
## საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისადმი

31 მარტს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო საფრანგეთის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ლ. ჟოქსი, დიდი ბრიტანეთის ელჩი საბჭოთა კავშირში ბ-ნი უ. ჰეიტერი და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საბჭოთა კავშირში ბ-ნი ჩ. ბოლენი და გადასცა მათ საბჭოთა მთავრობის ანალოგიური ნოტები საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებისადმი.

ქვემოთ ქვეყნდება ტექსტი საბჭოთა მთავრობის ნოტისა საფრანგეთის მთავრობისადმი.

„საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია საფრანგეთის მთავრობის ყურადღება მიაქციოს შემდეგს.

საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად ახორციელებდა და ახორციელებს მშვიდობისა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესების პოლიტიკას. ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა იმ წინადადებებში, რომლებიც წამოაყენა საბჭოთა მთავრობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სახელმწიფოთა შეიარაღების საყოველთაო შემცირების შესახებ, აგრეთვე ატომური და მასობრივი მოსპობის სხვა საშუალებათა იარაღის აკრძალვის შესახებ.

შეიარაღების საყოველთაო შემცირების, აგრეთვე ატომური იარაღის, ისევე როგორც მასობრივი მოსპობის სხვა ყველაზე საშიშ საშუალებათა იარაღის აკრძალვის ამოცანის გადაჭრა მომასწავებელი იქნებოდა იმ მძიმე ტვირთის უდიდესი შემსუბუქებისა, რომელიც ხალხებს ამჟამად აწევთ გამალებულ შეიარაღებასთან დაკავშირებით, რაც კვლავ წარმოებს, და იმის საშიშროების თავიდან აცილებისა, რომ ნგრევის მიზნებისათვის გამოყენებულ იქნას ისეთი დიდი მეცნიერული აღმოჩენანი, როგორიც არის ატომის ენერგიის გამოყენების საშუალებათა აღმოჩენა. ამ ამოცანის გადაჭრას უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის.

აქამდე, როგორც ცნობილია, არ მოხერხდა შესაბამის საერთაშორისო შეთანხმებათა მიღწევა აღნიშნულ მნიშვნელოვან საკითხებზე, რადგან ეს სიძნელეებს წააწყდა. მაგრამ ამ გარემოებამ არ უნდა შეამციროს სახელმწიფოების, და უწინარეს ყოვლისა იმ დიდი სახელმწიფოების, ღონისძიებათა მნიშვნელობა, რომლებსაც განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ საერთაშორისო მშვიდობის დაცვისათვის, ასეთ შეთანხმებათა მიღწევის საქმეში. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი კვლავაც მტკიცედ მოითხოვს, რომ საჭიროა სახელმწიფოთა შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვანი შემცირება და ისეთი შეთანხმების მიღწევა, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ დაშვებულ არ იქნას ატომის ენერგიის გამოყენება ნგრევისა და ადამიანთა მასობრივი მოსპობის მიზნებისათვის. სახელმწიფოების ასეთ ღონისძიებათა მნიშვნელობა სულ უფრო იზრდება, განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, რომ დამანგრეველი ძალა ატომური იარაღისა განუწყვეტლივ დიდდება და, გარდა ამისა, გამოჩნდა წყალბადის იარაღი, რომლის ძალა ბევრად აღემატება ატომური იარაღის ძალას. არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ ომში ატომური და წყალბადის იარაღის გამოყენება აურაცხელ უბედურებას მიაყენებდა ხალხებს, მომასწავებელი იქნებოდა მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი მოსპობისა, დიდი ქალაქების—თანამედროვე მრეწველობის, კულტურისა და მეცნიერების ცენტრების, მათ შორის ცივილიზაციის ისეთი უძველესი ცენტრების დანგრევისა, როგორიც არიან მსოფლიოს სახელმწიფოთა უდიდესი დედაქალაქები.

ახორციელებს რა შესაბამის ღონისძიებებს ხსენებულ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე შეთანხმებათა მიღწევის შესაძლებლობის გაადვილების მიზნით, საბჭოთა მთავრობა ხელმძღვანელობს აგრეთვე იმით, რომ არსებობს მშვიდობის განმტკიცების სხვა, ჯერ კიდევ გამოუყენებელი შესაძლებლობებიც.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა უწინარეს ყოვლისა აღინიშნოს ევროპაში უშიშროების განმტკიცების საკითხის მნიშვნელობა, რამდენადაც ევროპაში მშვიდობის შენარჩუნებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საყოველთაო მშვიდობის დაცვისა და ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის.

ხელმძღვანელობდა რა ამით, საბჭოთა მთავრობამ საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირზე განსახილველად შეიტანა წინადადება „ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ" და ამასთან დაკავშირებით წამოაყენა „ევროპაში კოლექტიური უშიშროების შესახებ სრულიად ევროპის ხელშეკრულების" საფუძველთა პროექტი.

ხელშეკრულების პროექტი ითვალისწინებს უშიშროების სრულიად ევროპის სისტემის შექმნას ევროპის ყველა სახელმწიფოს კოლექტიურ ღონისძიებათა საფუძველზე. ხელშეკრულების მონაწილე შეიძლება იყოს ევროპის ყველა სახელმწიფო, მათი საზოგადოებრივი წყობილების მიუხედავად, მათ შორის გერმანიაც, ამასთან გერმანიის გაერთიანებამდე ხელშეკრულების მონაწილენი შეიძლებოდა ყოფილიყვნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა. რომელიმე მონაწილეზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში ხელშეკრულება ითვალისწინებს იმ სახელმწიფოსათვის, რომელმაც თავდასხმა განიცადა, დახმარების აღმოჩენას ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით, თვით შეიარაღებული ძალის გამოყენებამდე იმ მიზნით, რომ აღდგენილ იქნას საერთაშორისო მშვიდობა და უშიშროება ევროპაში.

ამრიგად, სრულიად ევროპის ხელშეკრულების საფუძველთა პროექტის მიზანია ევროპაში კოლექტიური უშიშროების ეფექტიანი სისტემის შექმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების შესაბამისად.

სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა ბოლოს მოუღებდა ევროპაში სახელმწიფოთა ერთმანეთისადმი დაპირისპირებული სამხედრო დაჯგუფებების შექმნას. ასეთ დაჯგუფებათა შექმნა გარდუვალად იწვევს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გამწვავებას, მათ შორის მტრობისა და უნდობლობის გაძლიერებას, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ მას მოსდევს გამალებული შეიარაღება, ხალხებისათვის აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. ანგარიში უნდა გაეწიოს აგრეთვე იმას, რომ ერთი წყება სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფების შექმნა გარდუვალად იწვევს შესაბამის ღონისძიებებს სხვა სახელმწიფოთა მხრივ, მათი უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის.

ამის შედეგად იქმნება მდგომარეობა, როცა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობას საფუძვლად უდევს არა მისწრაფება ურთიერთთანამშრომლობისადმი მშვიდობის შენარჩუნების სასარგებლოდ, არამედ ერთი წყება სახელმწიფოთა ისეთი დაპირისპირება სხვა სახელმწიფოებისათვის, რომელიც გარდუვალად იწვევს დაძაბულობის გაძლიერებას სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში, და ამით ახალი ომის საფრთხის გაძლიერებას. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს იმას, რომ როგორც პირველ მსოფლიო ომს, ისე მეორე მსოფლიო ომს წინ უძღოდა სახელმწიფოების ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ სამხედრო დაჯგუფებათა შექმნა, ევროპის გათიშვა ორ მტრულ ბანაკად. ამასთან არ შეიძლება დავივიწყოთ, გერმანიის მილიტარიზმის განსაკუთრებით საშიში როლი ასეთ სამხედრო დაჯგუფებებში და პირველი და მეორე მსოფლიო ომების გაჩაღებაში.

ყოველივე ეს ხაზს უსვამს იმ საკითხის მნიშვნელობას, რომ პოლიტიკას, რომლის მიზანია შეიქმნას სახელმწიფოთა ერთმანეთისადმი დაპირისპირებული სამხედრო დაჯგუფებანი, დაუპირისპირდეს პოლიტიკა ევროპის ყველა სახელმწიფოთა შორის ეფექტიანი თანამშრომლობისა მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში. ასეთი თანამშრომლობა ევროპის ყველა, როგორც დიდ ისე მცირე სახელმწიფოთა შორის, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა, შესაძლებელს გახდიდა ისეთი მდგომარეობის თავიდან აცილებას, როცა ევროპას პერიოდულად ითრევენ გამანადგურებელ ომებში, რასაც მოწმობს ევროპის სახელმწიფოთა უკანასკნელი საუკუნის ისტორიის გამოცდილება.

სწორედ ამიტომ საბჭოთა მთავრობამ არაერთგზის მიაქცია საფრანგეთის მთავრობის, ისევე როგორც ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობების ყურადღება იმ საფრთხეს, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოების სამხედრო დაჯგუფებათა შექმნასთან. კერძოდ, საბჭოთა მთავრობა ყურადღებას აქცევდა ამას ეგრეთწოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შექმნის გეგმებთან დაკავშირებით, რომლებიც იწვევენ გერმანიის მილიტარიზმის აღდგენას, ევროპაში მშვიდობის საქმისათვის, განსაკუთრებით დასავლეთ გერმანიის მეზობელ სახელმწიფოთა უშიშროებისათვის აქედან გამომდინარე ყველა საშიში შედეგით.

როგორც ცნობილია, „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შექმნის გეგმები ითვალისწინებენ ევროპის ექვსი სახელმწიფოს კარდახშული სამხედრო დაჯგუფების შექმნას, რომლის ალმითაც იქმნება ეგრეთწოდებული „ევროპის არმია", რომელიც შედგება საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის, ჰოლანდიის, ლუქსემბურგის, აგრეთვე დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალებისაგან. ამ „ევროპის არმიაში" მთავარი როლი ენიჭებათ დასავლეთ გერმანიის შეიარაღებულ ძალებს ჰიტლერელი გენერლების მეთაურობით, რაც კეთდება იმ ვალდებულებათა წინააღმდეგ, რომლებიც საფრანგეთმა, ინგლისმა და შეერთებულმა შტატებმა საბჭოთა კავშირთან ერთად იკისრეს იმის შესახებ, რომ არ დაუშვან გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება, ამასთან უკვე ახლა მზადდება დასავლეთ გერმანიის რამდენიმე ათეული დივიზიის შექმნის გეგმები.

აგრეთვე კარგად არის ცნობილი, რომ „ევროპის არმიის" შექმნის გეგმებთან დაკავშირებით დასავლეთ გერმანიის მმართველი წრეები აშკარად ისახავენ მიზნად დაჩქარებით მოახდინონ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია და განახორციელონ ღონისძიებანი ყველა გვარეობის რეგულარული სამხედრო ძალების შესაქმნელად და საჭიროდ აღარ მიაჩნიათ დამალონ თავიანთი აგრესიული მიზნები მეზობელი სახელმწიფოების მიმართ. ამიტომ ევროპის მშვიდობისმოყვარე ხალხები და განსაკუთრებით დასავლეთ გერმანიის მეზობლები არ შეიძლება არ განიცდიდნენ თავიანთი უშიშროებისათვის შეშფოთების კანონიერ გრძნობას იმ საფრთხესთან დაკავშირებით, რასაც წარმოადგენს გერმანიის მილიტარიზმი, რომლის აღორძინებაც ხდება და დასავლეთ გერმანიის ჩაბმა „ევროპის თავდაცვითს გაერთიანებაში".

გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების და ევროპაში სამხედრო დაჯგუფებათა შექმნის გზით სვლა ნიშნავს არა მარტო იმას, რომ ხელს არ უწყობდე მშვიდობის განმტკიცებას, არამედ, პირიქით, იმას, რომ ახალ ომს ამზადებდე.

ამჟამად კი უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროა, რომ ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფომ და, უწინარეს ყოვლისა, დიდმა სახელმწიფოებმა თავიანთი ღონისძიებანი მოახმარონ ახალი ომის თავიდან აცილებას, იმას, რომ ევროპის ხალხები, მათ შორის გერმანელი ხალხი, ჩათრეულ არ იქნან ახალ ომში, რომელიც ახლანდელ პირობებში განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს ხალხებისათვის. ეს ამოცანა შეიძლება წარმატებით გადაიჭრას, თუ, ნაცვლად ევროპის სახელმწიფოთა ერთმანეთისადმი დაპირისპირებული სამხედრო დაჯგუფებებისა, ევროპაში შეიქმნება უშიშროების სისტემა, რომელსაც საფუძვლად დაედება ევროპის ყველა სახელმწიფოთა ერთობლივი ღონისძიებანი. ევროპაში კოლექტიური უშიშროების ასეთი სისტემის შექმნა ამასთანავე შეესაბამება საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს. სწორედ ამიტომ ევროპაში კოლექტიური უშიშროების იდეას, განსაკუთრებით ბერლინის თათბირის შემდეგ, უკვე აქტიურად უჭერენ მხარს მთელი რიგი სახელმწიფოები, აგრეთვე ფართო საერთაშორისო წრეები.

ბერლინის თათბირზე სრულიად ევროპის ხელშეკრულების დადების შესახებ საბჭოთა წინადადების განხილვის დროს გამოვლინდა უთანხმოება, რომელმაც შეუძლებელი გახადა შეთანხმებული გადაწყვეტილების მიღწევა. მაგრამ, ითვალისწინებს რა ამ დიდმნიშვნელოვან საკითხზე შესაბამისი შეთანხმების მიღწევის მნიშვნელობას, საბჭოთა მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია გაგრძელდეს ამ წინადადების განხილვა.

ევროპის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ საბჭოთა წინადადების განხილვასთან დაკავშირებით გამოთქვამდნენ აზრს, რომ სასურველი არ არის, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მონაწილეობა არ მიიღონ ევროპის კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულებაში. ითვალისწინებს რა ამ გარემოებას და მხედველობაში იღებს რა მეორე მსოფლიო ომის ჰიტლერული აგრესიის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში შეერთებული შტატების მონაწილეობას და იმ პასუხისმგებლობას, რომელიც საბჭოთა კავშირთან, საფრანგეთთან და ინგლისთან ერთად აკისრიათ ამერიკის შეერთებულ შტატებს ევროპაში ომისშემდგომი მოწესრიგებისათვის, აგრეთვე ანგარიშს უწევს რა თვალსაზრისს, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გამოთქვა ბერლინის თათბირზე, საბჭოთა მთავრობა, თავის მხრივ, ვერ ხედავს დაბრკოლებას, რომ დადებითად გადაწყდეს „ევროპაში კოლექტიური უშიშროების შესახებ სრულიად ევროპის ხელშეკრულებაში" ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობის საკითხი. ამრიგად, ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის შესახებ შეთანხმების მიღწევის გზაზე არსებული სიძნელე, რომელზეც დღემდე მიუთითებდნენ, უნდა მოხსნილიყო.

ბერლინის თათბირზე სრულიად ევროპის ხელშეკრულების შესახებ საბჭოთა წინადადების განხილვისას შეეხნენ აგრეთვე საკითხს, თუ რა ადგილი და როლი ეკუთვნის „ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციას" ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნასთან დაკავშირებით. ამასთან საფრანგეთის წარმომადგენელი, ისევე როგორც ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები, ამტკიცებდა, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულებას თავდაცვითი ხასიათი აქვს და არ არის მიმართული რომელიმე სახელმწიფოს, ან სახელმწიფოთა ჯგუფის წინააღმდეგ. ამგვარ განცხადებებს აკეთებენ საფრანგეთის ოფიციალური წარმომადგენლები, ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლები ბერლინის თათბირის შემდეგაც, ეხებიან რა საბჭოთა წინადადებას სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საკითხზე.

საბჭოთა მთავრობის პოზიცია ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების მიმართ კარგად არის ცნობილი. სსრ კავშირის მთავრობა არ იზიარებდა და ვერც ახლა გაიზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებას თავდაცვითი ხასიათი აქვს. ამასთან საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებს იმას, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულება ქმნის სახელმწიფოთა კარდახშულ დაჯგუფებას, უგულებელყოფს გერმანიის ახალი აგრესიის თავიდან აცილების ამოცანას, და, რამდენადაც ანტიჰიტლერულ კოალიციაში შემავალ დიდ სახელმწიფოთაგან ამ ხელშეკრულებაში მხოლოდ სსრ კავშირი არ მონაწილეობს, ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულება არ შეიძლება არ მივიჩნიოთ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ აგრესიულ ხელშეკრულებად.

სავსებით ნათელია, რომ „ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია" სათანადო პირობებში შეიძლებოდა დაეკარგა თავისი აგრესიული ხასიათი იმ შემთხვევაში, თუ მისი მონაწილე გახდებოდა ყველა დიდი სახელმწიფო, რომლებიც ანტიჰიტლერულ კოალიციაში შედიოდნენ. ამის შესაბამისად, ხელმძღვანელობს რა თავისი მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის უცვლელი პრინციპებით და ესწრაფვის რა საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელებას, საბჭოთა მთავრობა გამოთქვამს მზადყოფნას დაინტერესებულ მთავრობებთან ერთად განიხილოს ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულებაში სსრ კავშირის მონაწილეობის საკითხი.

რამდენადაც საფრანგეთის მთავრობა, აგრეთვე ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობები აცხადებენ, რომ ესწრაფვიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და მშვიდობის განმტკიცებას, მოსალოდნელი იქნებოდა, რომ, ისინი დადებითად მოეკიდებიან იმას, რომ მიღებულ იქნას ღონისძიებანი ისეთი მდგომარეობის უზრუნველსაყოფად, რომლის დროსაც ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულებას ნამდვილად თავდაცვითი ხასიათი მიეცემოდა და შეიქმნებოდა პირობები, რომლებიც შეუძლებელს გახდიდნენ გერმანიის ამა თუ იმ ნაწილის ჩაბმას სამხედრო დაჯგუფებებში. ამ შემთხვევაში „ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია" სახელმწიფოთა დახშული სამხედრო დაჯგუფება აღარ იქნებოდა და შესაძლებელი გახდებოდა, რომ მას შეერთებოდნენ ევროპის სხვა ქვეყნები, რასაც, ევროპაში კოლექტიური უშიშროების ეფექტიანი სისტემის შექმნასთან ერთად, უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა მთავრობას მხედველობაში აქვს, რომ ამასთან დაკავშირებით წამოჭრილი საკითხები შეიძლება ყველა დაინტერესებული სახელმწიფოსათვის დამაკმაყოფილებლად გადაიჭრას ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებისათვის.

საბჭოთა მთავრობამ ანალოგიური ნოტები გაუგზავნა აგრეთვე ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს".

# საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის სავაჭრო ურთიერთობისათვის

წარმატებით დამთავრებული მოლაპარაკების შედეგად, რაც მეგობრული ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, 1954 წლის 27 მარტს კაიროში ხელი მოაწერეს სავაჭრო შეთანხმებას სსრ კავშირსა და ეგვიპტეს შორის. შეთანხმება ითვალისწინებს ორივე ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას და განმტკიცებას თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლობის საწყისებზე.

ამ შეთანხმებით წესდება, რომ მხარეები ერთმანეთის მიმართ გამოიყენებენ ვაჭრობისა და ნაოსნობის საკითხებში ყველაზე ხელსაყრელ პირობებში მყოფი ერის რეჟიმს.

შეთანხმების პირობების თანახმად, სსრ კავშირიდან ეგვიპტეში და ეგვიპტიდან სსრ კავშირში საქონლის მიწოდება განხორციელდება საქონლის სიების საფუძველზე. სსრ კავშირიდან ეგვიპტეში საექსპორტო საბჭოთა საქონლის სიაში შედის სამრეწველო მოწყობილობა, ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ავტომანქანები, რკინისა და ფოლადის ნაწარმი, ნავთობპროდუქტები, ხე-ტყის მასალები, მარცვლეული, მედიკამენტები და სხვა საქონელი.

შეთანხმების მიხედვით ეგვიპტიდან სსრ კავშირში საექსპორტო ეგვიპტის საქონელში შედის ბამბა, ბრინჯი, ხელოვნური აბრეშუმის ნართი, გამოყვანილი ტყავი და ბეწვიანი ტყავი და სხვა საქონელი.

შეთანხმება დადებულია ერთი წლის ვადით და ყოველ წელს ავტომატურად გაგრძელდება, თუ არც ერთი მხარე არ განაცხადებს მის დენონსაციას.

# კეთილი მგზავრობა, ძვირფასო ამხანაგებო!

## გუშინ თბილისიდან ყაზახეთში ახალი მიწების ასათვისებლად გაემგზავრა საქართველოს ახალგაზრდობის პირველი ჯგუფი

მრავალი უჭკნობი ფურცელი ჩაწერა საბჭოთა ხალხის მატიანეში კომკავშირმა. იგი აშენებდა ქალაქებსა და დაბებს, ქარხნებსა და ელექტროსადგურებს, აჩვენებდა გამბედაობისა და მამაცობის, წინააღმდეგობათა გადალახვის სწორუპოვარ მაგალითებს. აი ახლა, აქ, დარბაზში სხედან იმათი შთამომავლები, ვინც პირველმა დასცა კარვები ურალისა და ამურის ნაპირებთან, ტრამალებსა და ტაიგაში მაგნიტოგორსკისა და კომსომოლსკის ასაშენებლად, ვინც აღმართა დნეპრჰესის კაშხალი და ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის კორპუსები. აქ არიან იმათი ძმები და დებიც, სამხრეთის მზით გადატრუსულ რუსთავის ველზე მეტალურგთა სოციალისტურ ქალაქს რომ აშენებენ. მათ არ აშინებდათ ჩრდილოეთის ყინვა და სამხრეთის პაპანაქება, უბინაობა და სიძნელეები, რადგან ასრულებდნენ მშობლიური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ნებას!




**სურათზე:** ახალი მიწების ასათვისებლად საქართველოდან მიმავალ კომკავშირელთა პირველი ჯგუფის გაცილება თბილისის ვაგზალზე. ფოტო ვ. გინზბურგისა.

ახლაც ასეა. პარტიამ მოუწოდა — და ფეხზე დადგა მისი ერთგული თანაშემწე, მრავალმილიონიანი კომკავშირი!

... ერთიმეორეს მიჰყვებიან მოსკოვიდან, კიევიდან, მინსკიდან დაძრული ეშელონები, რომლებიც ყაზახეთის, ციმბირის, ვოლგისპირეთის ველებზე მიჰქრიან. ვაგონებიდან ისმის ჯანღონით სავსე, მხიარული ახალგაზრდების სიცილი, გარმონის ხმები, რუსული, უკრაინული, ბელორუსული სიმღერები. მალე მათ ქართული მელოდიაც შეუერთდება.

დიდი საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდობასთან ერთად პარტიის მოწოდებას მხურვალედ გამოეხმაურა ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობა. რვა ათასზე მეტმა კომკავშირელმა და ახალგაზრდამ გამოთქვა სურვილი საკუთარი შრომით მიიღოს მონაწილეობა სახალხო მეურნეობის უდიდესი მნიშვნელობის ამოცანის გადაწყვეტაში — ყაზახეთის, ციმბირის, ვოლგისპირეთისა და ურალის ყამირის გატეხაში.

* * *

30 მარტი. ძერჟინსკის სახელობის კლუბი. დარბაზი ხალხს ვერ იტევს. თბილისელები აცილებენ საქართველოს ახალგაზრდებს, რომლებიც ახალი მიწების ასათვისებლად მიდიან. აქ არიან ახალგაზრდა მექანიზატორები თელავიდან, ფოთიდან, დიღმიდან, წულუკიძიდან, რუსთავიდან, დედაქალაქის საწარმოთა სტახანოველები, პიონერები და მოსწავლეები.

ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად საქართველოდან მიმავალ კომკავშირელთა პირველი ჯგუფის გამგზავრებისადმი მიძღვნილი კრება გახსნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ს. რიგვავამ.

ახალი მიწების ასათვისებლად მიმავალ მამაც ახალგაზრდებს მიესალმება საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრი ამხ. გ. ალავიძე. იგი ლაპარაკობს იმ უდიდეს სამუშაოთა შესახებ, რომლებიც უახლოეს ორ წელიწადში უნდა განახორციელონ საბჭოთა ადამიანებმა, რათა უზრუნველყონ პარტიისა და მთავრობის დადგენილების შესრულება — დამატებით მიიღონ 1.100 — 1.200 მილიონი ფუთი მარცვლეული.

სიტყვა ეძლევა წულუკიძის მტს-ის ტრაქტორისტთა ბრიგადის ხელმძღვანელს კომკავშირელ ამხ. გ. ჯიქიძეს.

— ბრიგადის წევრებთან ერთად მანქანის რემონტზე ვმუშაობდი, — მოუთხრობს იგი დამსწრეებს, — ვიღაცამ ახალი გაზეთი შემოიტანა. ვხედავთ — გამოქვეყნებულია მოსკოველთა მიმართვა ახალგაზრდა მექანიზატორებისადმი. წავიკითხეთ, იქვე მოვილაპარაკეთ, ყველა თანახმა იყო წასულიყო ახალი მიწების ასათვისებლად.

ახლა ტრაქტორისტთა ჩემი ბრიგადა უკვე დაკომპლექტებულია. კიდევ რამდენიმე კვირა, და სხვა ბრიგადებთან ერთად გავალთ ახალ ადგილზე, ყაზახეთში, მიწის ახალი მასივების ასათვისებლად.

ამხ. ჯიქიძე ტრიბუნაზე სიცოცხლით სავსე გოგონამ, კოლხიდმშენის ტრაქტორისტმა ანა პოხოლჩენკომ შეცვალა. იგი ლაპარაკობს იმ დიდი სიხარულის შესახებ, რომელსაც განიცდიან მასთან ერთად ფოთიდან ყაზახეთში მიმავალი მისი მეგობარი მექანიზატორები ლუბა რომანჩუკი და გრიგოლ ბაულინი. მთელ ჩვენს ძალებს გამოვიყენებთ იმისათვის, რომ გავადიდოთ მარცვლეულის ნათესები, უზრუნველვყოთ მაღალი და უხვი მოსავლის მოყვანა! ასე დაამთავრა თავისი გამოსვლა ამხ. პოხოლჩენკომ.

26 კომისრის რაიონის ახალგაზრდობის სახელით ლაპარაკობს თბილისის მანქანათმშენებელი ქარხნის სტახანოველი ზეინკალი ამხ. მ. სირკისი. ის ამხანაგების სახელით პირობას აძლევს დამსწრეებს, რომ ვაჟკაცურად დაძლევენ ყოველგვარ სიძნელეს, რომელიც შეიძლება ახალ ადგილზე შეხვდეთ, პირნათლად შეასრულებენ საწარმოო დავალებებს.

დედაქალაქის ახალგაზრდობის წარმომადგენლები — სტახანოველი მუშა, მექანიზატორი, პიონერი, პოეტი — გულთბილად მიესალმებოდნენ ახალგაზრდა პატრიოტებს და წარმატებებს უსურვებდნენ მომავალ საქმიანობაში, ამავე დროს აღუთქვამდნენ, რომ თვითონაც თავდადებით იშრომებენ, წარმატებით ისწავლიან, რომ შეერთებული ძალით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განუხრელად განახორციელონ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებებით დასახული ღონისძიებები.

პოეტმა იოსებ ნონეშვილმა წაიკითხა საქართველოდან ყაზახეთში მიმავალი ახალგაზრდებისადმი მიძღვნილი ლექსი.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

ამხ. მჟავანაძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს სახელით მიესალმა ახალი მიწების ასათვისებლად ჩრდილოეთ ყაზახეთში მიმავალ ახალგაზრდებს, მოუწოდა მათ პირნათლად შეასრულონ მეტად საპატიო ამოცანა და გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოს კომკავშირელები სახელოვნად გაამართლებენ პარტიის ნდობას, თავდადებული, პატრიოტული შრომით ასახელებენ სამშობლოს.

* * *

გუშინ თბილისის ვაგზლის ბაქანი გამცილებლებით აივსო. ვინ არ მოსულა აქ — მუშები, მოსწავლეები, მწერლები, ინჟინრები, სტუდენტები... ისმის ორკესტრის საზეიმო ხმები. თბილისი — როსტოვის მატარებლის ვაგონებთან ზღვა ხალხია, მათ თავზე ცოცხალი ყვავილების თაიგულები დაცურავენ. თბილისელები გულთბილად აცილებენ ჩრდილოეთ ყაზახეთში ახალი მიწების ასათვისებლად მიმავალ მამაც მოხალისეებს.

მიტინგი გახსნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. თ. ჯანელიძემ.

სახელდახელოდ მოწყობილ ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან ყაზახეთის მიმავალი მექანიზატორები — ქართველი ტრაქტორისტი ბ. დიასამიძე, რუსი მჩარხავი ნ. მაშინი, უკრაინელი ზეინკალი ლ. კულიში, კორეელი ელექტრიკოსი ვ. კანი და სხვები. ისინი პირობას აძლევენ კომუნისტურ პარტიას, რომ ენერგიის დაუზოგავად იშრომებენ, მოიპოვებენ წარმატებებს ახალი მიწების ათვისებაში.

მიმავალთ სიტყვით მიმართა კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივანმა პროპაგანდისა და აგიტაციის დარგში ამხ. ვ. კაჭარავამ, აგრეთვე კოლმეურნე ა. ფილაურმა, რომლის შვილი — საგარეჯოს მტს-ის ტრაქტორისტი ლ. ფილაური სხვებთან ერთად მიემგზავრება ყაზახეთში.

მატარებელი ნელა დაიძრა...

კეთილი მგზავრობა, ძვირფასო მეგობრებო!

# გაიხსნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IV ყრილობა

ბერლინი, 30 მარტი. (საქტასი). დღეს ბერლინში გაიხსნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IV ყრილობა.

ყრილობამ მუშაობა დაიწყო მშვიდობიან და დემოკრატიულ საფუძველზე გერმანიის გაერთიანებისათვის გერმანელი ხალხის ბრძოლის შემდგომი გაძლიერების ვითარებაში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ზრდის ნიშნით.

დღეს დილით ათასობით ბერლინელი შეიკრიბა ქუჩებში, რათა მისალმებოდა ყრილობის დელეგატებს, რომლებიც პირველ სხდომაზე მიდიოდნენ. დილის 9 საათისათვის ვერნერ ზეელენბინდერის სახელობის საზეიმოდ მორთულ უდიდეს სასპორტო დარბაზში შეიკრიბნენ ყრილობის დელეგატები. აქ წარმოდგენილია რესპუბლიკის მშრომელი მოსახლეობის ყველა ფენა — მუშები, გლეხები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, ტექნიკური ინტელიგენცია. მესამე ყრილობიდან განვლილ პერიოდში პარტიის როგორც მშრომელი ხალხის ყველა ფენის ნების გამომხატველისა და ინტერესების დამცველის როლი მნიშვნელოვნად გადიდდა.

დელეგატები მქუხარე ტაშით შეხვდნენ სხდომის დარბაზში გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარეების ვილჰელმ პიკისა და ოტო გროტევოლის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვალტერ ულბრიხტის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრების, აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ა. ი. მიქოიანის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. ა. სუსლოვის გამოჩენას.

ტრიბუნაზე ადის ამხანაგი ვილჰელმ პიკი. დელეგატები მხურვალედ მიესალმებიან გერმანიის მუშათა მოძრაობის გამოჩენილ ხელმძღვანელს, რომელიც ამჟამად მთელ თავის ძალას ახმარს ხალხს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ამხანაგი პიკი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის IV ყრილობას გახსნილად აცხადებს. იგი სთხოვს დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი სცენ ი. ბ. სტალინის ხსოვნას, აგრეთვე გერმანიის მუშათა მოძრაობის იმ მოღვაწეთა ხსოვნას, რომლებიც უკანასკნელ წლებში გარდაიცვალნენ. დელეგატები ფეხზე დგებიან. დარბაზში სიჩუმე მყარდება.

ვილჰელმ პიკი თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნავს, რომ, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირმა ცხადყო, გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრა პირველ რიგში თვით გერმანელთა საქმეა. იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა მთავრობამ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დაამყარა ისეთივე ურთიერთობა, როგორც სხვა სუვერენულ სახელმწიფოებთან, თქვა ვ. პიკმა, უფრო გაძლიერდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც ეროვნული ერთიანობისა და დემოკრატიული საზავო ხელშეკრულებისათვის სრულიად გერმანიის სახალხო მოძრაობის ბაზის მნიშვნელობა.

ჩვენი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, თქვა ვილჰელმ პიკმა, იმპერიალისტებისა და მილიტარისტებისაგან თავისუფალი დემოკრატიული და დამოუკიდებელი გერმანიის შექმნის ბაზაა. აქედან გამომდინარეობს, რომ ჩვენი რესპუბლიკის მუშათა კლასსა და ყველა მშრომელს შეუძლიათ ყველაზე უკეთ ემსახურონ გერმანელი ხალხის ეროვნულ საქმეს იმით, რომ განამტკიცებენ და გააძლიერებენ მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას, ფხიზლად და მტკიცედ დაიცავენ მას.

მიმართა რა მოძმე პარტიების წარმომადგენლებს, რომლებიც ყრილობაზე ჩამოვიდნენ, ამხანაგმა პიკმა თქვა:

სიტყვას [illegible] სოციალისტური [illegible], რათა გერმანიის აგრესიული მილიტარიზმი ვერასოდეს ვეღარ დაემუქროს ევროპის ხალხებს.

ტაშის გრიალში ამხანაგმა პიკმა მოუწოდა ყრილობის დელეგატებს გააძლიერონ ბრძოლა გერმანიის ერთიანობისა და მშვიდობისათვის, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მუშურ-გლეხური ხელისუფლების გაძლიერებისა და განმტკიცებისათვის.

შემდეგ არჩეულ იქნა ყრილობის ხელმძღვანელი ორგანოები. პრეზიდიუმში ერთსულოვნად აირჩიეს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ამხანაგების პიკის, გროტევოლისა და ულბრიხტის მეთაურობით, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, წარმოების აქტივისტები, შრომის გმირები, ეროვნული პრემიის ლაურეატები, მეცნიერების თვალსაჩინო მოღვაწეები.

ვ. პიკს წინადადება შეაქვს მოწვეულ იქნან პრეზიდიუმში მოძმე პარტიების დელეგაციების წევრები, რომლებიც ყრილობაზე ჩამოვიდნენ. დარბაზში მქუხარე ოვაცია იწყება, როცა სცენაზე ადიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის წევრები ა. ი. მიქოიანი, მ. ა. სუსლოვი, დ. ტ. შეპილოვი და ი. ა. სმირნოვი, ჩინეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ძი პენ-ფეი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები: პოლონეთისა — ფ. იუქვიაკი (ვიტოლდი), ჩეხოსლოვაკიისა — ი. დიური ში, უნგრეთისა — მ. ფარკაში, რუმინეთისა — პ. ბორილა, ბულგარეთისა — ტ. ჟივკოვი, ალბანეთისა — მ. პრიფტი, ინგლისის კომპარტიის გენერალური მდივანი ჰარი პოლიტი, ავსტრიის კომპარტიის თავმჯდომარე ი. კოპლენიგი, აგრეთვე იტალიის, საბერძნეთის, ესპანეთის, შვეიცარიის, ბელგიის, ფინეთის, შვეციის, დანიის, ნორვეგიისა და სხვა ქვეყნების კომუნისტური პარტიების წარმომადგენლები.

ყრილობის დელეგატები გულთბილად, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ პრეზიდიუმში საფრანგეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციის გამოჩენას ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის ვალდეკ-როშეს მეთაურობით.

ყრილობა განაგრძობს მუშაობას ო. გროტევოლის თავმჯდომარეობით. არჩეულ იქნა სამანდატო კომისია, სარედაქციო კომისია, წესდების კომისია და დამთვლელი კომისია.

ყრილობის დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები:

1. ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. მომხსენებელი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ვ. ულბრიხტი.

ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში (მომხსენებელი ალფრედ ელსნერი).

პარტიული კონტროლის ცენტრალური კომისიის ანგარიში (მომხსენებელი გერმან მატერნი).

2. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის წესდების შეცვლა (მომხსენებელი კარლ შირდევანი).

3. პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნები.

პრეზიდიუმისა და კომისიების არჩევის შემდეგ ამხანაგი გროტევოლი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს ამხანაგ ვალტერ ულბრიხტს.

ამხანაგ ულბრიხტის მოხსენება ყრილობის დელეგატებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს და მას სიტყვა არაერთხელ შეაწყვეტინეს ხანგრძლივი ტაშით.

ყრილობის მონაწილენი მქუხარე ოვაციით შეხვდნენ მომხსენებლის სიტყვებს, როცა მან გამარჯვება უსურვა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს.

დღეს საღამოს სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ცენტრალური სარევიზიო კომისიისა და პარტიული კონტროლის ცენტრალური კომისიის მოხსენებანი.

# ფასების ზრდა და მშრომელთა გალატაკება კაპიტალისტურ ქვეყნებში

საყურადღებო განცხადება გამოაქვეყნა გასული წლის 17 ივნისს ამერიკულმა გაზეთმა „რეკორდ ნიუსმა“, რომელიც ტეხასის შტატში გამოდის. ახალგაზრდა ქალი, სამი შვილის დედა, 10 ათას დოლარად უფასებდა თავის თვალს ცალი თვალით დაბრმავებულ ყოველ მდიდარს. ჩემი ქმარი, წერდა განმცხადებელი, შემდუღებელი მუშაა. იგი შრომისმოყვარეა, მაგრამ მისი ხელფასი ოჯახს არ ყოფნის. პატარა ბავშვები კი იმის ღირსნი არიან, რომ მათი გულისათვის გავწირო თვალი. ქმარიც დამეთანხმა ამაზე...

ჭეშმარიტად, უკიდურეს სიღატაკეში უნდა იყო, რომ გასაყიდად გაიმეტო საკუთარი თვალი. ამავე დროს, ასეთი წინადადებანი ერთეული მოვლენა როდია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამერიკის იმავე შტატში — ტეხასში თვალის გაყიდვა განიზრახა ქალაქ უიჩიტის ერთ-ერთმა მცხოვრებმა. საფრანგეთსა და ესპანეთში იშვიათი როდია ისეთი შემთხვევა, როცა სასოწარკვეთილებამდე მისული ღარიბ-ღატაკნი უარს აცხადებენ მშობლის უფლებებზე იმ მდიდართა სასარგებლოდ, რომლებმაც „იყიდეს“ მათი შვილები. იაპონიაში ბავშვების გაყიდვა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა...

მშრომელთა გალატაკება კაპიტალისტურ სამყაროში ყველგან სულ უფრო დიდ მასშტაბს იღებს. კაპიტალისტური მონოპოლიების მესვეურთა ბანაკში სიმდიდრის დაგროვებასთან ერთად ძლიერდება სიღატაკე ბურჟუაზიული საზოგადოების მეორე პოლუსზე — მშრომელთა ბანაკში. ამ პროცესმა რელიეფურად იჩინა თავი ამერიკის შეერთებულ შტატებში, კაპიტალისტური მსოფლიოს ამ მთავარ ქვეყანაში.

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე უილიამ ფოსტერი თავის წიგნში „მსოფლიო კაპიტალიზმის მზის ჩასვენება“, ცხადყოფს რა მატერიალური სიკეთის განაწილების უთანაბრობას ამერიკაში წერს: „სიმდიდრის არათანაბარ განაწილებას ამერიკაში გვიჩვენებს შემდეგი ციფრები: 62 ათას მდიდარს იმდენივე თანხის ანაბარი აქვს ბანკებში, რამდენიც 25 მილიონ ღარიბ ოჯახს; ამერიკელი ხალხის 30 პროცენტს არავითარი დანაზოგი არ გააჩნია, ხოლო 13,5 მილიონი ოჯახი, რომლებიც თავსაც ვერ ირჩენენ, სულ უფრო და უფრო ეფლობა ვალებში“. ამას უნდა დაემატოს უმუშევართა ვეებერთელა არმია, რომელთაც სრულიად არ გააჩნიათ საარსებო საშუალებანი და სავსებით გალატაკებული არიან.

ამერიკელი ხალხის უმეტესობა მეტად მძიმე მატერიალურ პირობებში ცხოვრობს. მას ძარცვავენ და ექსპლოატაციას უწევენ ერთი მუჭა მდიდრები. 1948 წლის ოფიციალური სტატისტიკური ცნობებით ამერიკელი მონოპოლისტების ქონება და საბანკო კაპიტალები შეფასებული იყო 460 მილიარდ დოლარად, ამასთან ამ კაპიტალის ძირითად ნაწილს ფლობდა 250 უდიდესი კომპანია.

თანამედროვე ამერიკელი მდიდრების ცხოვრების პირობებს გვაცნობს თუნდაც კ. ემორის წიგნი „უკანასკნელი კურორტები“, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. „რა კარგად ცხოვრობენ ცხოველები მდიდრებთან!“ — ამბობს კ. ემორი და განმარტავს: „ბელმონტებისას ნიუპორტში ცხენებს აკაზმულობას უცვლიდნენ დილით, დღისითა და საღამოთი. ღამე ცხენებს აწვენდნენ სელის ქათქათა ზეწრებზე, რომლებზეც ამოქარგული იყო ღერბი... ბუა დორეში უილიამ ფანეშტოკმა თავის ხეებზე ჩამოჰკიდა ხელოვნური ხილი, რომლებიც, ისევე როგორც მისი აბაზანის ონკანები, ოქროსაგან არის გაკეთებული“.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გაბატონებული კაპიტალისტების კლასის ფუფუნებისა და შერყვნილი ზედმეტობის ფონზე განსაკუთრებით ჩანს ამერიკელ მშრომელთა ცხოვრების მძიმე პირობები, პირველ რიგში მშრომელთა იმ ნაწილისა, რომელიც უმუშევართა ან ნახევრადუმუშევართაგან შედგება.

უმუშევრობა, რომელიც დაკავშირებულია კაპიტალისტური ექსპლოატაციის განუწყვეტელ გაძლიერებასთან, გამალებული შეიარაღების პოლიტიკის განხორციელებასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში კრიზისის მოვლენათა ზრდასთან, ამერიკის შეერთებულ შტატებში ტანჯავს დიდძალ მოსახლეობას. აშკარად შემცირებული მონაცემების მიხედვით, რომლებიც მომდინარეობს საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის რეაქციონერი ხელმძღვანელებისაგან, შეერთებულ შტატებში მარტო სრული უმუშევარი არის 4 მილიონამდე კაცი. გარდა ამისა, ხომ ამერიკის შეერთებულ შტატებში არის ბევრი ნახევრად უმუშევარი, ე. ი. ისეთი პირები, რომლებიც სრულ სამუშაო კვირას არ მუშაობენ, შემთხვევითი შემოსავალი აქვთ და სხვ. ამერიკის შეერთებულ შტატებში 13 მილიონს აღწევს იმ პირთა საერთო რაოდენობა, რომლებსაც მეტად თუ ნაკლებად უშუალოდ შეეხოთ უმუშევრობა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ძლიერდება ეკონომიური კრიზისი, რომელიც უმუშევრობის შემდგომი ზრდის საფრთხეს ქმნის, და თუ გავითვალისწინებთ, რომ უმუშევართა და ნახევრადუმუშევართა მნიშვნელოვან ნაწილს ოჯახი ჰყავს, გაზვიადებული არ იქნება იმის თქმა, რომ უმუშევრობით შეერთებულ შტატებში იტანჯება სულ ცოტა 20-25 მილიონი ადამიანი.

მეტად მძიმე პირობებში ცხოვრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში იმ მშრომელთა უმეტესობაც, რომელთაც სამუშაო აქვთ. ამერიკის პრესის მონაცემების მიხედვით, ამერიკელთა ოჯახების 80 პროცენტის შემოსავალი საარსებო მინიმუმზე ნაკლებია. როგორც წესი, საშუალო ამერიკელი მუშისა და მოსამსახურის შემოსავალი არ კმარა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ოჯახის გაუჭირვებელი არსებობა.

ამერიკელ მშრომელთა მძიმე მატერიალური მდგომარეობის უმნიშვნელოვანესი მიზეზები თვით კაპიტალისტური საზოგადოების სისტემაშია, იმ პოლიტიკაშია, რომელსაც ამერიკის მონოპოლიები ახორციელებენ. გამალებულ შეიარაღებას, ამერიკის მონოპოლიების მისწრაფებას — მიიღონ მაქსიმალური მოგება, ამერიკის შეერთებული შტატების მშრომელებისათვის მოაქვს გაჭირვება, რაც დაკავშირებულია გადასახადებისა და ფასების განუწყვეტელ ზრდასთან. რეალური ხელფასის დაცემასთან, მოხმარების შემცირებასთან, ცხოვრების პირობების გაუარესებასთან. იმ მონაცემების მიხედვით, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატების პრესა აქვეყნებს, ამერიკის შეერთებული შტატების მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი შვიდი წლის განმავლობაში (1944-დან 1951 წლამდე) 30 პროცენტით შემცირდა. რაც შეეხება საარსებო მინიმუმის ღირებულებას, იგი, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ელექტრიკოსთა პროფკავშირის საკვლევი ბიუროს გამოანგარიშებიდან ჩანს, თითქმის ერთისამად მეტი იყო, ვიდრე 1939 წელს.

ამერიკელ მშრომელთა უბედურებაა კვების პროდუქტებისა და სახალხო მოხმარების საგნების ფასების განუწყვეტელი ზრდა. „ყოველდღე დავდივარ მაღაზიებში და ვხედავ, — წერს გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ ამერიკელი დიასახლისი, — როგორ მატულობს ფასები. როგორ უნდა იცხოვროს რიგითმა ოჯახმა, როცა ფასები სულ მატულობს და მატულობს, გადასახადები იზრდება და დეკრეტირებულია ხელფასის გაყინვა“.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ომისშემდგომი წლების მანძილზე კვების უმნიშვნელოვანესი პროდუქტების ფასების ზრდის საერთო სურათს გვიჩვენებს შემდეგი მონაცემები, რომლებიც ა. ი. მიქოიანმა მოიყვანა პარტიის XIX ყრილობაზე. 1952 წელს პური ამერიკის შეერთებულ შტატებში უფრო ძვირი იყო, ვიდრე 1947 წელს, 28 პროცენტით, ხორცი — 26, კარაქი — 4, რძე — 18, შაქარი — 6 პროცენტით.

1952 წლის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში კვლავ მატულობდა კვების ყველა პროდუქტისა და ფართო მოხმარების საქონლის ფასები. მცირდება მოხმარება. ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით კვების პროდუქტების მოხმარება ამერიკაში ერთ სულ მოსახლეზე უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში შემცირდა 6 პროცენტით, ხოლო კარაქის მოხმარება (1953 წლის მონაცემების მიხედვით) — 8,3 პროცენტით.

ქალაქის მშრომელებზე უკეთეს მდგომარეობაში არც მშრომელი ფერმერები და სოფლის მეურნეობის მუშები არიან. მიწათმოქმედების სამინისტროს მონაცემებით საშუალო ფერმერის მყიდველობითი უნარი ამერიკის შეერთებულ შტატებში 1945-დან 1953 წლამდე საშუალოდ შემცირდა თითქმის 25 პროცენტით (12,3-დან 8,7 მილიონ დოლარამდე). მატულობს სავსებით გალატაკებულ ფერმერთა რაოდენობა, რომლებიც ადიდებენ უმუშევართა არმიას.

მშრომელთა გალატაკებას, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ხდება, ვხედავთ ყველა სხვა კაპიტალისტურ ქვეყანაშიც. ახლა საყოველთაო მოვლენა გახდა ფასების განუწყვეტელი ზრდა.

ინგლისში, შრომის სამინისტროს ოფიციალური მონაცემების მიხედვით, კვების პროდუქტების ფასები 1948-დან 1951 წლამდე საშუალოდ 33 პროცენტით გადიდდა, მაშინ როცა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი ძლივს 14 პროცენტით გადიდდა. 1951 წლის შემდეგ ფასები ინგლისში კვლავ მატულობდა. ცალკეულ სახეობათა პროდუქტების ფასები ომამდელთან შედარებით შემდეგი ოდენობით გადიდდა: დამარილებული ხორცის და კარტოფილის — 2,5-ჯერ, ვირთევზას ზურგელის — ერთისამად, დაკლული ფრინველისა — 4-ჯერ, ბევრად გადიდდა ტანისამოსის ფასები, მაგალითად, მამაკაცის კოსტიუმები ერთიოთხად, ხოლო ფეხსაცმელი ერთისამად გაძვირდა.

ინგლისელი მშრომელები დღემდე მოკლებული არიან იმის შესაძლებლობას, რომ ისარგებლონ კვების პროდუქტების თავისუფალი ვაჭრობით. ეკონომიური სიძნელეების გამო ინგლისში მოქმედებს სურსათის განაწილების საბარათო სისტემა. მაგრამ მცირე ხელფასის მქონე მუშა-მოსამსახურეებს არ შეუძლიათ იყიდონ თავიანთი ულუფა: ულუფას ვერ ყიდულობს ინგლისის დაახლოებით მესამედი მოსახლეობა. ინგლისში სახალხო მოხმარება მკვეთრად მცირდება. ლონდონის პრესამ გამოაქვეყნა ცნობა, რომ 1951 წელს ინგლისის ერთ სულ მოსახლეზე ხორცისა და კარაქის მოხმარება ომამდელთან შედარებით საშუალოდ შემცირდა 40 პროცენტით, შაქრისა — 16 პროცენტით, თევზის კონსერვებისა — 46 პროცენტით და სხვ. 1951 წლის შემდეგ მდგომარეობა თუ შეიცვალა, მხოლოდ გაუარესების მხრივ. მაგალითად, ცხიმეულის მოხმარება 1951-დან 1953 წლამდე შემცირდა 18 პროცენტით, ყველისა — 9, კარაქისა — 7 პროცენტით. პურის, ბრინჯის, ზეთის ფასები იმავე პერიოდში ერთნახევარჯერ გადიდდა ინგლისში. ჟურნალი „ბიულეტინ ფორ ინდასტრი“ აღნიშნავს, რომ 1952 და 1953 წლებმა ინგლისში განვლო ფასების ზრდისა და საარსებო მინიმუმის ღირებულების გადიდების ნიშნით.

საფრანგეთში კვების პროდუქტების ღირებულება ჯერ კიდევ 1951 წელს 28-ჯერ აღემატებოდა ომამდელს, ხოლო რეალური ხელფასი ერთიორად და უფრო ნაკლები იყო. თუ საფრანგეთში კვების უმნიშვნელოვანესი პროდუქტების 1947 წლის ფასების დონეს ასად ჩავთვლით, 1952 წელს ეს ფასები შეადგენდა: პურისა — 208, ხორცისა — 188, კარაქისა — 192, რძისა — 174, შაქრისა — 376-ს.

მეტად თუ ნაკლებად ანალოგიურ სურათს ვხედავთ ყველა სხვა კაპიტალისტურ ქვეყანაში, მათ შორის დასავლეთ გერმანიასა და იტალიაში, ბელგიასა და ჰოლანდიაში, სკანდინავიის ქვეყნებში, ესპანეთში, პორტუგალიაში. ომისშემდგომი წლები ყველგან აღინიშნა ფასების ზრდით, ცხოვრების დონის დაქვეითებით, მშრომელთა მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებით. ასეთია ერთ-ერთი შედეგი დასავლეთ ევროპის ქვეყნების მონაწილეობისა სამხედრო ბლოკებისა და გამალებული შეიარაღების პოლიტიკაში, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები ახორციელებენ.

**პ. ბრინინი.**

## ჩეხოსლოვაკიის პრემიერ-მინისტრ ვ. შიროკის გამოსვლა

პრაღა, 31 მარტი. (საკდესი). [illegible]

პარტიამ და მთავრობამ, თქვა, კერძოდ, შიროკიმ, მიაღწიეს დიდ წარმატებებს იმ პოლიტიკის განხორციელების საქმეში, რომლის მიზანია მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლება. საცალო ფასების შემცირებით, რომელიც 1953 წლის ოქტომბერში განხორციელდა, მოსახლეობამ მიიღო 4,5 მილიარდი კრონი მოგება. 1953 წლის დეკემბერში ფასების ნაწილობრივმა შემცირებამ მოსახლეობას ახალი მოგება მოუტანა. სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო ჩაბარების ნორმების შემცირების შედეგად მარცვლეულის, ტექნიკური კულტურებისა და ხორცის დასამზადებელი ფასების გადიდებასთან ერთად, აგრეთვე სხვა შეღავათების შედეგად, მოგება, რომელიც გლეხებმა მიიღეს, შეადგენს 2,7 მილიარდ კრონს.

სამრეწველო წარმოების ზრდამ და შრომის ნაყოფიერების გადიდებამ, განაგრძო შიროკიმ, საშუალება მისცა პარტიასა და მთავრობას 1 აპრილიდან განეხორციელებინათ ფასების ახალი, სათვალავით მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი შემცირება სახალხო მოხმარების საქონელზე. ამ შემცირების შედეგად მოსახლეობა მიიღებს 5,6 მილიარდ კრონ მოგებას. გარდა ამისა, საცხოვრებელი ბინების, ფეხსაცმლის, ავეჯისა და სხვ. რემონტის ახალ შეფასებათა შემოღება მოსახლეობას მისცემს დამატებითს მოგებას 280 მილიონი კრონის რაოდენობით.

შიროკიმ განაცხადა, რომ მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების შემცირება ხალხის ცხოვრების დონის გაუმჯობესების ერთადერთი გზა როდია. 1953 წლის სექტემბრიდან განხორციელდა მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი ამ მიმართულებით, რომელთა შედეგად მოსახლეობამ მიიღო 3,8 მილიარდი კრონი მოგება. მიმდინარე წლის ბიუჯეტით გაცილებით უფრო მეტი სახსრებია ასიგნებული სოციალურ საჭიროებათათვის. მაგალითად, განათლების განვითარებაზე, ჯანმრთელობის დაცვასა და სხვა ღონისძიებებისათვის გამოყოფილია თითქმის 4 მილიარდი კრონით მეტი, ვიდრე 1953 წელს.

შარშანდელთან შედარებით 1,4 მილიარდი კრონით გადიდდა ასიგნებანი საბინაო მშენებლობაზეც. წელს აშენდება 33 პროცენტით მეტი ბინები, ვიდრე შარშან.

ფასების ახალ შემცირებას თქვა შიროკიმ, ჩვენ ვახორციელებთ იმ დროს, როდესაც განსაკუთრებით გაიზარდა და კვლავ იზრდება მოსახლეობის მოთხოვნილება ყველა საქონელზე. 1953 წლის მე-4 კვარტალში მოსახლეობას მიეყიდა 11 პროცენტით მეტი ხორცი, 32 პროცენტით მეტი თევზი, 10 პროცენტით მეტი ქონი, 31 პროცენტით მეტი მცენარეული ზეთი, ორჯერ მეტი ყველი, 50 პროცენტით მეტი მოტოციკლი, ორჯერ მეტი მაცივარი, ვიდრე 1952 წლის შესაბამის კვარტალში. ეს აიხსნება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ფულადი შემოსავლის განუწყვეტელი ზრდით.

ცნობილია, განაგრძო შიროკიმ, რომ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში სრულიად წარმოუდგენელია, რომ მზარდი მოთხოვნილების დროს მცირდებოდეს საქონლის საცალო ფასები. სოციალისტური მშენებლობის პირობებში კი საცალო ფასების შემცირება წარმოებაში მოპოვებულ წარმატებათა პირდაპირი შედეგია. ფასების ახალი შემცირება ჩვენი მეურნეობის შემდგომი განმტკიცების მკაფიო დადასტურებაა, იგი მჭევრმეტყველურად მოწმობს ჩვენს წარმატებებს.

შიროკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს წარმატებანი შესაძლებელი გახდა სსრ კავშირთან და დემოკრატიული ბანაკის სხვა ქვეყნებთან ჩეხოსლოვაკიის მჭიდრო თანამშრომლობის მეოხებით, საბჭოთა კავშირის ძმური დახმარების მეოხებით.

თავისი სიტყვის საბოლოო ნაწილში შიროკი შეეხო იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც არის სამეურნეო მშენებლობაში და მოუწოდა დამსწრეთ შემდგომ კიდევ უფრო გააჩაღონ ბრძოლა პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელებისათვის.

## ფასების შემცირება ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 30 მარტი. (საკდესი). 29 მარტს გაიმართა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა განიხილა და მოიწონა პროექტი პარტიის და მთავრობის დადგენილებისა სასურსათო და სამრეწველო საქონლის საცალო ფასების მესამე შემცირების შესახებ. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა ვილიამ შიროკიმ.

დღეს საღამოს გამოქვეყნდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის დადგენილება 1954 წლის 1 აპრილიდან ფასების ახალი შემცირების შესახებ. შემცირების შედეგად, რაც 53 ათასი სახელწოდების საქონელს შეეხება, მოსახლეობა წლის განმავლობაში დაზოგავს 5, 6 მილიარდ კრონს. სასურსათო საქონლის, მათ შორის პურის, ბურღულეულის, რძისა და რძის ნაწარმის, კვერცხის, შაქრისა და საკონდიტრო ნაწარმის ფასები მცირდება 8-დან 25 პროცენტამდე, სამრეწველო საქონლის, მათ შორის ქსოვილების, ფეხსაცმლისა და სხვა საქონლის ფასები — 9-დან 45 პროცენტამდე.

## საბჭოთა მოსწავლემ ლარისა დავატცმა პირველი პრემია მიიღო ინდოეთში ბავშვთა ნახატის საერთაშორისო კონკურსზე

დელი, 29 მარტი. (საკდესი). დელში გამოცხადდა შედეგები ბავშვთა ნახატის საერთაშორისო კონკურსისა, რომელიც ინდოეთის ყოველკვირეულმა ჟურნალმა „შანკარს უიკლიმ" მოაწყო.

კონკურსში მონაწილეობა მიიღეს 44 ქვეყნის ბავშვებმა, რომლებმაც 15 ათასი ნახატი წარმოადგინეს.

კონკურსის მონაწილე საბჭოთა ბავშვებმა მიიღეს ცხრა პრემია. მოსკოველი მოსწავლის ლარისა დავატცის ნახატს მიენიჭა ინდოეთის პრემიერ-მინისტრის პირველი პრემია.

28 მარტს დელში გაიმართა პრემიების გადაცემის საზეიმო ცერემონია. ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ საბჭოთა ბავშვებისათვის მინიჭებული ცხრა პრემია გადასცა სსრ კავშირის ელჩს ინდოეთში მ. ა. მენშიკოვს საბჭოთა ბავშვებისათვის გადასაცემად.

## პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს მიმართვა

### მთელი მსოფლიოს მშრომელებისადმი პირველი მაისის გამო

ვენა, 30 მარტი. (საკდესი). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს საბოლოო სხდომამ მიიღო მიმართვა მთელი მსოფლიოს მშრომელებისადმი — მამაკაცებისა და ქალებისადმი პირველი მაისის — პროფკავშირულ უფლებათა დაცვისა და მოპოვებისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღის გამო.

მიმართვაში ნათქვამია:

ძვირფასო ამხანაგებო! 1954 წლის პირველი მაისის დღესთან დაკავშირებით პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია ძმურ სალამს გიძღვნით:

თქვენ, ამხანაგებო კაპიტალისტურ, კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში, რომლებიც სასტიკ ბრძოლას ეწევით თქვენი კანონიერი უფლებების დასაცავად და მოსაპოვებლად;

თქვენ, ამხანაგებო საბჭოთა კავშირში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანაში, ვისი გრანდიოზული წარმატებანი განამტკიცებენ მშვიდობას და მთელი მსოფლიოს მშრომელთა რწმენას მათი ექსპლოატატორებზე საბოლოო გამარჯვებისადმი.

კაპიტალისტურ და კოლონიურ სამყაროში თქვენი ცხოვრების პირობები კიდევ უფრო გაუარესდა უკანასკნელ წელს. მოგებას მოწყურებული მონოპოლისტები აძლიერებენ მხეცურ ექსპლოატაციას. მატულობს სიღატაკე, ურწმენობა ხვალინდელი დღისადმი და უმუშევრობა. ახალი კრიზისის პირველი სიმპტომები უკვე ჩანს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანაში ეკონომიური დეპრესიაა.

ამ უკანასკნელი წლის მანძილზე მშრომელთა ბრძოლა მათი სასიცოცხლო სოციალურ-ეკონომიური მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის სულ უფრო შეტევითს ხასიათს იღებს. განუწყვეტლივ ძლიერდება მშრომელთა მისწრაფება მოქმედების ერთიანობისადმი.

მშრომელო მამაკაცებო და ქალებო!

პროფკავშირი მაორგანიზებელი ძალა და საჭირო იარაღია ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში.

პროფკავშირულ უფლებათა და დემოკრატიულ თავისუფლებათა დაცვა და მოპოვება საჭიროა წარმატებათა მოსაპოვებლად თქვენს ძლევამოსილ ბრძოლაში პურისათვის, შრომისა და უკეთესი ცხოვრებისათვის.

რეაქცია უაღრესად სასტიკ საშუალებებს მიმართავს, რათა სცადოს მოსპოს ეს იარაღი და წაგართვათ თქვენ ეს უფლებანი. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია თავის დიდ სიმპათიას უცხადებს პოლიციის რეპრესიების ათასობით მსხვერპლს. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია თავს ხრის იმ მრავალრიცხოვან მებრძოლთა სახელოვანი ხსოვნის წინაშე, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს მუშათა კლასის დიად საქმეს.

პროფკავშირთა მესამე მსოფლიო კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება დაიწყოს 1954 წლის პირველი მაისის დღეს ფართო საერთაშორისო კამპანია პროფკავშირულ უფლებათა და დემოკრატიულ თავისუფლებათა დაცვისა და მოპოვებისათვის.

ყველა პოლიტიკური რწმენისა და პროფკავშირული კუთვნილების მშრომელებო, აქტიურად მიიღეთ მონაწილეობა ამ დღის მომზადებასა და აღნიშვნაში. მოვაწყოთ 1954 წლის 1 მაისს უკეთესი ცხოვრებისათვის, ჩვენი პროფკავშირული უფლებების დაცვისათვის, მშვიდობისათვის ბრძოლაში ერთიანობის მძლავრი დემონსტრაციები.

ამხანაგებო!

ომის საფრთხე სრულიადაც არ არის თავიდან აცილებული. ამერიკელი იმპერიალისტები, რომლებიც სათავეში უდგანან ომისა და რეაქციის ძალებს, კვლავ აგრესიულ გეგმებს ამზადებენ.

ეგრეთწოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება" და მილიტარიზაცია დასავლეთ გერმანიისა, სადაც გაბატონებული არიან რევანშისტული ძალები, ხელს უშლის საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

ხალხთა მტკიცე მოქმედებით შესაძლებელი გახდა ისეთ დიდ წარმატებათა მოპოვება, როგორიც არის დაზავება კორეაში, ბერლინის თათბირის მოწვევა, შეთანხმება იმის შესახებ, რომ საჭიროა მოლაპარაკება, რათა შემცირდეს შეიარაღება და მოწვეულ იქნას ჟენევის თათბირი კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებისა და ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის მიზნით.

მხოლოდ თქვენი მეოხებით, თქვენი ერთობლივი მოქმედებითა და თქვენი სიფხიზლით ჩაიფუშება ზარბაზნის ვაჭართა გეგმები.

წინ, ამხანაგებო, თქვენი ხელფასის გადიდებისათვის, ცხოვრების დონის ამაღლებისა და თქვენი შრომის უფლების დაცვისათვის, სოციალური დაზღვევის მოპოვებისა და დაცვისათვის.

წინ, პროფკავშირულ, დემოკრატიულ თავისუფლებათა დაცვისა და მოპოვებისათვის, რათა გადავუღობოთ გზა რეაქციასა და ფაშიზმს.

მოითხოვეთ ანტიმუშურ და ანტიპროფკავშირულ კანონთა გაუქმება, რეპრესიების მსხვერპლი ყველა აქტივისტი მუშის განთავისუფლება.

კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნების მშრომელებო!

შექმენით კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის, თქვენი უფლებებისა და თქვენი თავისუფლებების დაცვისათვის, თქვენი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის, იმისათვის ბრძოლის ფართო ფრონტი, რომ ბოლო მოეღოს კოლონიურ მონობას.

ევროპის ქვეყნების მშრომელო მამაკაცებო და ქალებო!

გაერთიანდით სამხედრო შეთანხმებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხელი შეუშალეთ ბონისა და პარიზის ხელშეკრულებათა გამოყენებას.

ყველა ქვეყნის მშრომელო მამაკაცებო და ქალებო!

გააფართოეთ და განამტკიცეთ მოქმედების ერთიანობა, ყველა თქვენი გამარჯვების საწინდარი!

იბრძოლეთ საერთაშორისო პროფკავშირული ერთიანობის აღდგენისათვის, ამხილეთ ყველა, ვინც ეწინააღმდეგება თქვენს ერთიანობას.

წინ, ამხანაგებო, კეთილდღეობისათვის, თავისუფლების, მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ერთიანობასა და სოლიდარობას!

გაუმარჯოს მშვიდობას!

გაუმარჯოს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას!

გაუმარჯოს 1954 წლის პირველ მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ერთიანობის, ძმობისა და ბრძოლის დღეს!

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია.

ვენა, 1954 წლის 28 მარტი.

## კომუნიკე მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს სხდომის შესახებ

ვენა, 30 მარტი. (საკდესი). 28-30 მარტს ვენაში გაიმართა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს სხდომა. ბიურომ მიიღო შემდეგი დოკუმენტები:

1. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს რეზოლუცია.
2. მიმართვა ევროპის ხალხებისადმი.
3. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს დეკლარაცია ატომური იარაღის შესახებ.

## საბჭოთა მეზღვაურები დაეხმარნენ ინდოეთის გემის ეკიპაჟს

დელი, 29 მარტი. (საკდესი). 22 მარტს საბჭოთა თბომავალ „კრასნოდარის" მეზღვაურებმა ინდოეთის ოკეანეში გადაარჩინეს ინდოეთის სატვირთო გემის „ადამ ჰამიდის" ეკიპაჟი. თბომავალ „კრასნოდარის" კაპიტანმა ამხ. შევჩუკმა თქვა, რომ, როცა მისი გემი იყო 50 მილზე კუნძულ კილტანიდან, მიღებულ იქნა სიგნალი, რომლითაც დახმარებას თხოულობდნენ. წყალში დაუყოვნებლივ ჩაუშვეს მაშველი კანჯო. გამოირკვა, რომ ინდოეთის გემის ეკიპაჟს დაუკარგავს ორიენტაცია და გამოლევია სასმელი წყლისა და სურსათის მთელი მარაგი. საბჭოთა მეზღვაურებმა გადაარჩინეს ცხრა ინდოელი მეზღვაური და ოთხი ბავშვი, რომლებიც მათთან ერთად იყვნენ, აღმოუჩინეს მათ პირველი სამედიცინო დახმარება, აგრეთვე მოამარაგეს ინდოეთის გემი კომპასით, სურსათით, მარილით, ასანთითა და სასმელი წყლით.

## მდგომარეობა ეგვიპტეში

კაირო, 30 მარტი. (საკდესი). იუწყებიან, რომ გუშინ დილით მოხდა თავდასხმა ეგვიპტის სახელმწიფო საბჭოს შენობაზე იმ დროს, როცა იქ მიმდინარეობდა სხდომა, რომელზეც განიხილავდნენ სახელმწიფოში შექმნილ მდგომარეობის საკითხს. თავდამსხმელნი შეიჭრნენ სხდომის დარბაზში და ჭრილობები მიაყენეს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ეს-სანჰურის. დაჭრილია აგრეთვე სახელმწიფო საბჭოს ერთ-ერთი თანამშრომელი.

კაიროს რადიომ გამოაქვეყნა შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება ყოველგვარი დემონსტრაციების აკრძალვის შესახებ. კაიროში შეიარაღებული პოლიციის რაზმები პატრულობენ ქუჩებს. იუწყებიან, რომ ქალაქში შეიყვანეს აგრეთვე ჯარები.

ლონდონი, 30 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კაიროელი კორესპონდენტი იუწყება, ეგვიპტის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა გენერალ-მაიორმა აბდელ ჰაკიმ ამერმა საალყო წესები გამოაცხადა მთელ ეგვიპტეში.

კაირო, 30 მარტი. (საკდესი). ეგვიპტის ეროვნული ხელმძღვანელობის მინისტრმა მაიორმა სალაჰ სალემმა პრესისათვის გაკეთებულ განცხადებაში აღნიშნა:

„შესრულდა რა ხალხის მოთხოვნა, ხელმძღვანელმა რევოლუციურმა საბჭომ გადაწყვიტა კვლავ იკისროს მთელი პასუხისმგებლობა". ამასთან დაკავშირებით ხელმძღვანელი რევოლუციური საბჭოსა და მთავრობის 29 მარტის გაერთიანებულ სხდომაზე მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებანი:

„1. ხელმძღვანელი რევოლუციური საბჭოს 5 მარტის გადაწყვეტილების (სამხედრო წესების გაუქმების შესახებ. — რედ.) და 25 მარტის გადაწყვეტილების (დამფუძნებელი კრების არჩევის, პარტიების აღდგენისა და ხელმძღვანელი რევოლუციური საბჭოს დათხოვნის შესახებ) განხორციელება გადაიდოს გარდამავალი პერიოდის დამთავრებამდე (ესე იგი 1956 წლის იანვრამდე).

2. დაუყოვნებლივ შეიქმნას ეროვნული სათათბირო საბჭო, რომელშიც შევლენ ორგანიზაციების წარმომადგენლები და ეგვიპტის სხვადასხვა ნაწილის წარმომადგენლები. საბჭოს შექმნის პირობები და მისი რწმუნებანი განისაზღვრება კანონით".

უპასუხა რა კითხვაზე, მოხდა თუ არა რაიმე ცვლილება მთავრობისა და ხელმძღვანელი რევოლუციური საბჭოს შემადგენლობაში ეგვიპტეში მომხდარი ამბების შემდეგ, ეგვიპტის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ პოდპოლკოვნიკმა გამალ აბდელ ნასერმა განაცხადა:

„ყველაფერი რჩება ისე, როგორც წინათ იყო".

მან აღნიშნა, რომ ნაგიბი არის რესპუბლიკის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, ხელმძღვანელი რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე და ეგვიპტის სამხედრო გენერალ-გუბერნატორი. ნასერს კვლავ უკავია პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და ხელმძღვანელი რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტები.

ყველა გაფიცვა, რაც ეგვიპტეში იყო, თქვა ნასერმა, 29 მარტს ღამით შეწყდა და 30 მარტიდან სახელმწიფოში განახლდება ჩვეულებრივი ცხოვრება.

## იაპონიაში სიძვირე მატულობს

შანხაი, 31 მარტი. (საკდესი). იაპონიის რადიო გადმოგვცემს, რომ 1 აპრილიდან მოელიან ლუდის, სპირტიანი სასმელების, თამბაქოს ნაწარმის ფასების, რკინიგზის ბილეთების ფასების და რადიოს ქირის გადიდებას. პირველი და მეორე კლასის ვაგონებით სამგზავრო ბილეთების ფასი 20 პროცენტით დიდდება. რადიოს ტარიფი გადიდდება 30 პროცენტით.

## დამთავრდა კანადის მუშათა პროგრესული პარტიის მეხუთე ყრილობა

ტორონტო, 30 მარტი. (საკდესი). 27 და 28 მარტს კანადის მუშათა პროგრესული პარტიის მეხუთე ყრილობის დელეგატებმა განიხილეს პარტიის ახალი პროგრამის პროექტი.

ახალი პროგრამის პროექტის შესახებ მოხსენება გააკეთა პარტიის ეროვნული აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა ლესლი მორისმა.

ყრილობამ პროგრამის პროექტი მიიღო ზოგიერთი შესწორებით.

ყრილობამ მიიღო რეზოლუციები შემდეგ საკითხებზე: ახალი ეროვნული პოლიტიკა კანადისათვის; ეკონომიური კრიზისის საფრთხესთან ბრძოლა; ხალხის ერთიანობა და მუშათა პროგრესული პარტიის ამოცანები; პარტიის, მუშა ახალგაზრდობის ეროვნული ფედერაციისა და პრესის ორგანოების განმტკიცება.

ყრილობაზე აირჩიეს კანადის მუშათა პროგრესული პარტიის ეროვნული კომიტეტი. ყრილობის დელეგატებმა პარტიის ლიდერად ერთხმად აირჩიეს ტიმ ბაკი.

ყრილობაზე სხვადასხვა დროს წაიკითხეს მისალმებანი, რომლებიც მიღებულია საბჭოთა კავშირის, ინგლისის, შეერთებული შტატების, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, დასავლეთ გერმანიის, იაპონიის, ინდოეთის, მექსიკის, ურუგვაის, გვატემალისა და სხვ. ძმური კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტებისაგან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში ნათქვამია:

კანადის მუშათა პროგრესული პარტიის მეხუთე ყრილობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ძმურ სალამს უთვლის კანადის მუშათა პროგრესული პარტიის მეხუთე ყრილობას.

ვუსურვებთ მუშათა პროგრესულ პარტიას წარმატებებს პარტიული რიგების განმტკიცებისათვის, კანადის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, კანადის მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს კანადის მუშათა პროგრესულ პარტიას!

გაუმარჯოს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობას მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში!

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**

ყრილობის მონაწილენი ფეხზე მდგომნი მქუხარე ოვაციით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას.

ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ტიმ ბაკმა.

## მატჩი მსოფლიოს პირველობაზე ჭადრაკში

30 მარტს პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა მეშვიდე პარტია საჭადრაკო მატჩისა მსოფლიოს პირველობაზე. თეთრებით თამაშობდა სმისლოვი.

რთული მანევრული ბრძოლის შემდეგ შეიქმნა საინტერესო დაბოლოება, რომელშიც ფლანგზე ძლიერი გამსვლელი პაიკის მეოხებით თეთრებმა მიიღეს ერთგვარი უპირატესობა. კონტრშანსის შექმნის მიზნით ბოტვინიკმა მოამზადა ლაზიერის ფლანგის პაიკების წინსვლა. მაგრამ შავების ეს მუქარა უფრო ნაკლებ საშიში იყო, ვიდრე თეთრების პაიკების შეტევა მეფის ფლანგზე. 41-ე სვლაზე პარტია დაუმთავრებელი დარჩა ისეთ მდგომარეობაში, სადაც სმისლოვს რამდენადმე უკეთესი შანსები ჰქონდა.

გუშინ საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის საკონცერტო დარბაზში გათამაშდა მატჩის გადადებული პარტია. 50-ე სვლაზე გაიმარჯვა სმისლოვმა. მატჩის ანგარიში გახდა 4½:2½ ბოტვინიკის სასარგებლოდ.

## საქართველოს გუნდი ფინალში გავიდა

ლენინგრადში რამდენიმე დღეა მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის ზამთრის პირველობის გათამაშება კალათბურთში. ამ შეჯიბრებაში წარმატებით იბრძვის საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაში არიან ჯორჯიკია, აბაშიძე, ინწკირველი, კილაძე, განცელაძე და სხვ.

თავის ქვეჯგუფში საქართველოს გუნდმა ხუთი შეხვედრიდან ხუთივე მოიგო და ფინალში გავიდა. განსაკუთრებით მძაფრი ბრძოლით ხასიათდებოდა საქართველოსა და ლიტვის ვაჟთა გუნდების შეხვედრა. გაიმარჯვა საქართველოს გუნდმა ანგარიშით 46:45.

# თბილისი



**სურათზე:** ცენტრალური საფეიქრო საწარმოო-საცდელი ლაბორატორიის ლაბორანტები ქ. დავლიანიძე (მარჯვნივ) და ნ. კუხიანიძე ამოწმებენ აბრეშუმის ქსოვილის გამძლეობა-ჭიმვადობას.

## საფეიქრო მრეწველობის დასახმარებლად

მომხმარებლისათვის მაღალხარისხოვანი აბრეშუმისა და შალის ქსოვილის მიწოდებაში საფეიქრო საწარმოებს დიდ დახმარებას უწევს საქართველოს აბრეშუმის მრეწველობის ტრესტის ცენტრალური საფეიქრო საწარმოო-საცდელი ლაბორატორია, რომელიც სწავლობს აბრეშუმის პარკის ჯიშებს და მისი ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს, ამოწმებს აბრეშუმის, შალის, ბამბისა და შტაპელის ნედლეულს და ქსოვილებს გამძლეობის, კლებადობისა და სხვ. მხრივ; ქიმიურ განყოფილებაში წარმოებს საღებავებისა და ღებვის სიმტკიცის შემოწმება და სხვადასხვა ქიმიური ანალიზები.

ლაბორატორიამ უკვე დაადგინა საქართველოში გავრცელებული თეთრპარკოვანი აბრეშუმის ჯიშების და ჰიბრიდების ამოხვევის ტექნოლოგიური რეჟიმი, რითაც დიდი დახმარება გაუწია საქართველოს ძაფსაღებ ფაბრიკებს. შესწავლილი და ქუთაისის აბრეშუმის კომბინატში დანერგილია ახალი მანქანა, რომელიც საუკეთესოდ ახარისხებს პარკს და მნიშვნელოვნად ზრდის შრომის ნაყოფიერებას.

საქსოვ ექსპერიმენტალურ საამქროში უკვე გამოიმუშავეს 16 ახალი სახის ქსოვილი, რომლებიც მოწონებულია და ზოგი მათგანი უკვე დანერგილია აბრეშუმის მრეწველობაში.

ამჟამად ლაბორატორიაში სრულდება 10 სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო.

ლაბორატორია აღჭურვილია ყველა საჭირო უახლესი ხელსაწყოთი. აქ არსებობს სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა, რომელსაც აქვს 5.000-მდე სპეციალური ტექნიკური წიგნი. ბიბლიოთეკა მომსახურებას უწევს რესპუბლიკის აბრეშუმის საწარმოებსა და მათ სპეციალისტებს.

## დ. აღწურელის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო

ამ დღეებში საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობამ გამართეს ძველი ქართული თეატრის ცნობილი მსახიობის დავით მერაბის-ძე აღწურელის (გამყრელიძე) ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა სტალინური პრემიის ლაურეატმა ა. ვასაძემ. მოხსენება დ. აღწურელის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გააკეთა თეატრმცოდნე ე. დავითაიამ.

სიტყვებით და მოგონებებით გამოვიდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნ. გვარაძე, პროფესორი ა. ფალავა, დოცენტი დ. ჯანელიძე, ა. ციხისთავი და სხვები.

მხატვრულ განყოფილებაში რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ი. ქვიჟის, ე. აბაზაძის, დ. ჩხეიძის, ვ. კობელის, ვ. კველიშვილის, ა. გაჩეჩილაძის, ნ. ქვიჟის, ნ. და ი. თარალაშვილების მონაწილეობით წარმოდგენილ იქნა სცენები ა. ცაგარლის პიესებიდან „ხანუმა" და „ციმბირელი".

### ქალაქის ქრონიკა

## პურის ახალი მაღაზიები

ქალაქში დღითიდღე ფართოვდება პურის სავაჭრო ქსელი. ამ მოკლე ხანში ბევრი ახალი კეთილმოწყობილი მაღაზია და პავილიონი შეემატა ქალაქის ცენტრალურ და განსაკუთრებით განაპირა უბნებს.

ორჯონიკიძის რაიონში ლისისა და რიონის ქუჩების კუთხეში გაიხსნა პურ-ფუნთუშეულის მაღაზია. პურის ახალი პავილიონები გაიხსნა ქობულეთის აღმართზე და ლენინის რაიონში პიონერის ქუჩაზე.

ამ დღეებში კიროვის რაიონში მიასნიკოვის ქუჩაზე გაიხსნება სპეციალური საკონდიტრო-საფუნთუშე მაღაზია. ორჯონიკიძის რაიონში არაყიშვილისა და ფალიაშვილის ქუჩების კუთხეში, აგრეთვე უნივერსიტეტის ქუჩაზე ახალ სახლებში მიმდინარეობს პურის მაღაზიების მოწყობა.

კალინინის რაიონში დავითაშვილის ქუჩაზე მოეწყობა ქართული პურის საცხობი და ქართული პურის სპეციალიზებული მაღაზია. ასეთივე სპეციალიზებული მაღაზია და საცხობი გაიხსნება ლენინის რაიონში.

## დამთავრდა ქალთა მეოთხე სპარტაკიადა

თბილისის სასპორტო ბაზებზე 21 დღეს გრძელდებოდა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ქალთა მეოთხე სპარტაკიადა. ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს ქალაქის უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების, აგრეთვე სასპორტო საზოგადოებათა სპორტსმენმა ქალებმა, რომელთა საერთო რაოდენობა 1.200-ს აღწევდა. შეჯიბრება აღინიშნა კარგი სპორტული მაჩვენებლებით.

პირველ ჯგუფში მთავარი ბრძოლა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენ ქალთა კოლექტივებს შორის მიმდინარეობდა. გაიმარჯვა უნივერსიტეტის გუნდმა. მეორე ადგილი დაიკავა კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენთა კოლექტივმა, მესამე — პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდმა.

მეორე ჯგუფში პირველ ადგილზე გამოვიდა „დინამოს" გუნდი, მეორეზე — „სპარტაკი", მესამეზე — „ზენიტი".

29 მარტს რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართა სპარტაკიადის შემაჯამებელი საღამო. გამარჯვებულებს ჯილდოები გადასცა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. დუმბაძემ.

## „საქართველოს კომუნისტი" № 3

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი" № 3.

ჟურნალში დაბეჭდილია შემდეგი მასალები: **მოწინავე** — „ი. ბ. სტალინი — ლენინის საქმის დიდი განმგრძობი"; სარედაქციო სტატია — „ორგანიზებულად, ახალი ამოცანების დონეზე ჩავატაროთ საგაზაფხულო სამუშაოები"; სტატიები: **შ. ბიწაძე** — „მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი ხასიათი", **ნ. კეცხოველი** — „სამეცნიერო დაწესებულებები სოფლის მეურნეობის სამსახურში", **ი. ქაჩიბაია, დ. ცხომარია** — „მოწინავე გამოცდილების ფართოდ გავრცელებისათვის", **დ. ხანთაძე** — „სოციალისტურ მრეწველობას — მუშათა კვალიფიციური კადრები", **ა. თოფურია** — „კომუნისტის სახე ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში".

განყოფილებაში „ლექცია და კონსულტაცია" დაბეჭდილია **ა. დოჭვირის** სტატია — „ლექციური პროპაგანდა პარტიული მუშაობის მნიშვნელოვანი უბანია".

განყოფილებაში „კრიტიკა და ბიბლიოგრაფია" დაბეჭდილია წერილები: **შ. ძიძიგური** — „ახალი ქართული ენის მეცნიერული გრამატიკა", **დ. ცხოიძე** — „სოციალისტური სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკითხები", **კ. ჯოხიძე** — „ირანელი ხალხი განმათავისუფლებელი ბრძოლის გზაზე".

რედაქტორის მოადგილე
**რ. ქურციკიძე.**

## საქართველოს კ. პ. თბილისის საქალაქო კომიტეტთან არსებულ ლექტორიუმში

1 აპრილს საღამოს 8 საათზე ლ. კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში მოეწყობა სემინარი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტებისათვის (სწავლების პირველი წელი). სემინარის ხელმძღვანელია დოცენტი ი. შარაშენიძე.

ამავე დღეს საღამოს 8 საათზე გაიმართება სემინარი პოლიტეკონომიის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტებისათვის. სემინარს უხელმძღვანელებს პროფესორი ს. ბერაძე.

### ოპერისა და ბალეტის თეატრი

| | |
|---|---|
| 1 აპრილს | ჯ. ვერდი — **აიდა** |
| 2 აპრილს | შ. ჰუნო — **ფაუსტი და ვალპურგის ღამე** |

(დასაწყისი საღამოს 8 საათზე)


მოქალაქე **ვარვარა აირაპეტის ასულმა ჯავახიშვილმა**, მცხოვრებმა ჯაფარიძის ქ. № 20, აღძრა საქმე ტელმანის ქ. № 9 მცხოვრებ მოქალაქე **ანდრო ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კალინინის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე ვარდო, შვილები ოთარ, ქეთო, რძალი მარგო, შვილიშვილები დავით, გიორგი ბალდავაძეები იუწყებიან **სამსონ ექვთიმეს-ძე ბალდავაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-IV ქ. ლანჩხუთში. გამოსვენება ბინიდან, ლენინის ჩიხი № 3.

დედა მარიამ, მეუღლე თამარ, შვილი ლეილა, და ბარბარე, ძმები ლეონტი, ირაკლი, რძლები მარო, ლუბა, მარგო, ბიძა ვასო, სიძე მ. ჰეიშვილი ოჯახებით იუწყებიან **ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე მოლოდინის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2-IV, 8 ს. გამოსვენება 3-IV, 5 ს. დოლიძის ქ. № 6.

მამა სარდიონ, და თინა, ძმები გიორგი, ვალერიან, აკაკი ქავზინაძეები, რძლები ეთერ, კლარა, ქსენია, სიძე სიმონ ლორთქიფანიძე შვილებით იუწყებიან **თამარ სარდიონის ასულ ქავზინაძე-აფხაზავას** გარდაცვალებას. გამოსვენება 1-IV, 5 ს. ლოტკინის ქ. № 27.

მეუღლე თინა, შვილი მარინე, მამა ეპიფანე, და ნინო, სიდედრი მარიამ, სიმამრი პავლე, ცოლისდები ლუიზა, ნანი პავლენკოები, ბებია ანა იუწყებიან **ვალიკო ეპიფანეს-ძე გაგუას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2-IV, 8 ს. გამოსვენება 3-IV, 5 ს. დავითაშვილის ქ. № 26.

მეუღლე თამარ, შვილები ცაცა, ეთერ, დავით, და ეფროსინე, ძმა ალექსანდრე იუწყებიან **დავით ივანეს-ძე ვაშაკიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2, 3-IV, 8 ს. გამოსვენება 4-IV, 2 ს. პლეხანოვის პროსპ. № 114.

მეუღლე სოფიო, შვილები ივანე, ალექსი, სერგო, გიორგი, რძლები თინა, ანა, ვენერა, ლენა, შვილიშვილები იუწყებიან **პეტრე ნიკოს-ძე ხეთაგურის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-IV, 1 ს. გომში (ხაშურის რაიონი).

შვილები ელენე, ვალოდია, ძმა იაგორ, რძლები ფანია, ალექსანდრა, მუსია, შვილიშვილები მილა, ინგა, ციური, მაზლიშვილი ფირუზა ლეკიშვილები იუწყებიან **ეკატერინე იოსების ასულ ლეკიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 1-IV, 6 ს. პლეხანოვის პრ. № 78.

მამა ლავრენტი, და თამარ, სიძე სულიკო ბეგლაროვი, დისწულები ცისანა, ფირუზი იუწყებიან **ნათელა ლავრენტის ასულ ჭუმბურიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-IV სამტრედიაში. გამოსვენება ბარათაშვილის ქ. № 8.

მეუღლე ნადია, შვილები რუბენ, სონია, ემა, სიძეები როსტომ შელია, გრიგოლ გოძიანი, რძალი ოლია და შვილიშვილები იუწყებიან **ალექსანდრე არტემის-ძე დავიდოვის** გარდაცვალებას. გამოსვენება 1-IV, 5 ს. დავითაშვილის ქ. № 19.

მეუღლე იოსებ, შვილები ცეცილია, ლეილა შათირიშვილები, დები ნინო, კიტი, ნაზიკო, ძმა აბესალომ ოჯახებით იუწყებიან **ევულა ნესტორის ასულ ტყეშელაშვილი-შათირიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3-IV, 8 ს. გამოსვენება 4-IV, 5 ს. ტრამვაის ქ. № 10.

შვილები ალექსანდრე, შალვა, მიხეილ, რძლები ვერო, ლიდა, ლუბა, შვილიშვილები, ძმისწული აკაკი, რძალი თინა კორშიები შვილებით იუწყებიან **გაიანე ბურდღუს ასულ თოლორაიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 1-IV, 5 ს. ატენის ქ. № 20.

მეუღლე ფედოსი, შვილები ისიდორე, ასინეთი, რძალი ზინა, შვილიშვილები ალექსანდრე, ზოია, ლალი, ზეინაბ ლომინეიშვილები იუწყებიან **ივანე გიორგის-ძე ლომინეიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-IV ზემო სურებში (ჩოხატაურის რ.).



რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14 ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88. ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-51-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვისა და სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურის და ყოფა-ცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, უცხოეთის ინფორმაციისა და კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 00958

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14